

პარტნიორის პასუხისმგებლობის შეზღუდვის პრობლემები სამეწარმეო სამართალში

ნანა აბესაძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის
სკოლაში მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

პროგრამა: კერძო (ბიზნეს) სამართალი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: თამარ გოგოლაშვილი, სამართლის მაგისტრი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი, 2014

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ნანა აბესაძე

19.06.2014წელი

ს ა რ ჩ ე ვ ი

შესავალი-----	6
I თავი- შეზღუდული პასუხისმგებლობის და პარტნიორის მნიშვნელობა სამეწარმეო სუბიექტებში-----	8
1.1 შეზღუდული პასუხისმგებლობა როგორც მეწარმეობის განვითარების საფუძველი-----	8
1.1.1. შეზღუდული პასუხისმგებლობა - მეწარმეობის განვითარების მთავარი მასტიმულირებელი ფაქტორი-----	-8
1.1.2 მეწარმეობა, როგორც სამართლის ობიექტი და მისი ძირითადი ნიშნები-----	11
1.2. პარტნიორის ცნება სამეწარმეო სუბიექტებში-----	14
1.3. საწევრო შენატანი, როგორც პარტნიორის უფლება- მოვალეობების საფუძველი-----	17
II თავი- პარტნიორის უფლებები და პასუხისმგებლობა შპს-სა და სს-ში -----	21
2.1 პარტნიორების უფლებები -----	21
2.2 პარტნიორის პასუხისმგებლობის ფორმები და საფუძვლები-----	24
2.3 კორპორაციული განჭოლვა, როგორც კრედიტორების დაცვის საშუალება-----	27
2.4 შეზღუდული პარტნიორის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველი-----	30
2.4.1 უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება-----	30
2.4.2 გულგრილობა-----	32
2.4.3 კომერციული მოსყიდვა-----	33
2.4.4 უკანონო სამეწარმეო საქმიანობა-----	35
2.4.5 ცრუ მეწარმეობა-----	37
III თავი - საწარმოსა და მისი ხელმძღვანელის პასუხისმგებლობის საფუძველი-----	38
3.1. საწარმოს პასუხისმგებლობა ვალდებულების დარღვევისათვის-----	38
3.2. ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა-----	41
3.2.1 ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობის თავისებურებები -----	41

3.2.2 დირექტორის სამსახურებრივი ურთიერთობა საზოგადოებასთან-----	43
3.2.3 ხელმძღვანელთა სამეწარმეო ხასიათის ვალდებულებები -----	44
3.2.4 მტკიცების ტვირთის განაწილება საზოგადოებასა და ხელმძღვანელებს შორის დავის დროს-----	47
IV თავი - სასამართლო პრაქტიკის მიმოხილვა-----	49
4.1. სამეწარმეო დავები - საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის გადაწყვეტილებების მიხედვით-----	49
4.2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის გადაწყვეტილებები - ეკონომიკური დანაშაულებების მიხედვით-----	58
დასკვნა-----	64
გამოყენებული ლიტერატურა-----	66

აბსტრაქტი

ქვეყანაში არსებული ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობიდან გამომდინარე, სახელმწიფოს პრიორიტეტია მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ხელშეწყობა, რაც ჩვენი ქვეყნის აღმავლობის უმნიშვნელოვანესი საფუძველია.

საზოგადოების დაფუძნება შეზღუდული პასუხისმგებლობის ფორმით, ერთ-ერთი ყველაზე ხელსაყრელი ფორმაა ბიზნესმენისათვის. აღნიშნული ფორმის, მთავარი მამოძრავებელი ფაქტორი არის ის, რომ პარტნიორი საზოგადოების ვალდებულებებზე პასუხს აგებს მხოლოდ შენატანის ფარგლებით, თუმცა მას ახასიათებს გარკვეული პრობლემები, რომელიც შესაძლოა სავალალო აღმოჩნდეს როგორც ბიზნესმენის, ისე ბიზნესისათვის.

წინამდებარე ნაშრომის მიზანია, მაქსიმალურად წარმოაჩინოს პარტნიორის პასუხის-მგებლობის შეზღუდვის პრობლემები სამეწარმეო სამართალში, უფრო აქტუალური გახადოს აღნიშნული საკითხი, გამოავლინოს პრობლემების გადაჭრის გზები და ასევე დახმარება გაუწიოს ამ პრობლემატიკით დაინტერესებულ პირებს.

ნაშრომი განკუთვნილია იურისტებისათვის, იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებისათვის და აგრეთვე აღნიშნული საკითხით დაინტერესებული ბიზნეს სუბიექტებისათვის.

To support the business growth, is an important basis for the development of our country. Due to country's economic and social situation our government's top priority is the development of small and medium sized businesses.

Establishment of limited liability companies is one of the most advantageous forms of business sector. Its main driving factor is that the partner with community obligations is only responsible for the installment extent but it has some problems that may become fatal not only for businessman but for business too.

The aim of present paper is to emphasize the problems of partner's limited liability in corporate law, to testify its core problems and solutions of these problems as well as to assist people ,interested in these issues.

This work is intended for lawyers and law students as well as for organizations, who are interested in the above mentioned questions.

შესავალი

აღნიშნული სამაგისტრო ნაშრომის თემაა „პარტნიორის პასუხისმგებლობის შეზღუდვის პრობლემები“ სამეწარმეო სამართალში.

ჩვენს ქვეყანაში, მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა ბიზნეს სექტორის განვითარებას. სახელმწიფო პოლიტიკა მიმართულია იქეთკენ, რომ ხელი შეუწყოს მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას, რადგან ის საზოგადოების წინსვლის საწინდარია.

იზრდება ბანკების მიერ კრედიტების გაცემის წილი ბიზნეს სესხების მიმართულებით შესაბამისად, ნებისმიერ პირს აქვს შესაძლებლობა დაიწყოს მცირე ბიზნესი და განავითაროს ის, დამატებითი კაპიტალის მოზიდვის გზით.

ბიზნესის დაწყება გულისხმობს სამეწარმეო საქმიანობის სახის და სამართლებრივი ფორმის არჩევას, რომელიც ყველაზე უფრო ხელსაყრელი იქნება დამწყები ბიზნესმენისათვის.

საქართველოში, ბოლო ათწლეულის მანძილზე, სულ უფრო და უფრო იზრდება შეზღუდული პასუხისმგებლობის ფორმაზე დაფუძნებული საზოგადოებების რაოდენობა.

ამ ფორმის გავრცელების ძირითადი მიზეზი არის ის, რომ წევრების ქონება დაცულია საზოგადოების კრედიტორთა და მესამე პირთა წინაშე წარმოშობილი ვალდებულებებისაგან. პასუხისმგებლობა შემოფარგლულია მათ მიერ განხორციელებული შენატანის ფარგლებით. ამდენად შეზღუდული პასუხისმგებლობის ფორმით სამეწარმეო საქმიანობის განხორციელება არის მათი ქონების დაცვის გარკვეული გარანტია.

მიუხედავად ამისა, პარტნიორის შეზღუდული პასუხისმგებლობა ყოველთვის არ არის ხელშეუხებელი. კანონმდებლობა ითვალისწინებს შემთხვევებს, როცა პარტნიორები კრედიტორების წინაშე პასუხს აგებენ, სოლიდარულად, საზოგადოების და მათი ხელმძღვანელების ვალდებულებებისათვის. შესაძლოა, რომ პარტნიორებმა ბოროტად გამოიყენონ შეზღუდული პასუხისმგებლობის ფორმა და ფიგურა, რაც საფრთხეს უქმნის საზოგადოების კრედიტორებსა და ინსტიტუციურ ინვესტორებს, ამიტომ

სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულია დანაშაულები, რომლის ჩადენი-
სათვის დგება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა.

ვფიქრობ, აღნიშნულ პრობლემებს, იურიდიულ ლიტერატურაში, დიდი ყურადღება
არ დათმობია.

ნაშრომის მიზანია, შეზღუდული პასუხისმგებლობის და სააქციო საზოგადების
პარტნიორების პასუხისმგებლობის გაანალიზების საშუალებით, სრულყოფილად იქნეს
შესწავლილი აღნიშნული თემის ძირითადი პრობლემები და მისი გამომწვევი მიზეზები,
მათი სამართლებრივი რეგულირება საქართველოში და გამოვლიდენს მათი გადაწყვე-
ტის ყველაზე მისაღები გზები.

კვლევა-ძიების დროს გამოყენებული იქნება როგორც რაოდენობრივი, ისე თვისო-
ბრივი მეთოდი. ნაშრომი შედგება შესავალისაგან; ძირითადი ნაწილისგან (4 თვისა და
12 ქვეთავისაგან, რომელშიც განხილულია: შეზღუდული პასუხისმგებლობის და
პარტნიორის მნიშვნელობა სამეწარმეო სუბიექტებში; პარტნიორის უფლებები და
პასუხისმგებლობა შპს-სა და სს-ში; საწარმოსა და მისი ხელმძღვანელის პასუხისმგე-
ბლობის საფუძვლები; ასევე მიმოხილული იქნება სასამართლო პრაქტიკა - სისხლისა
და სამოქალაქო სამართლის წესით განხილული საქმეები, სამეწარმეო სფეროში, რათა
მაქსიმალურად იქნას განხილული ნაშრომთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები)
და დასკვნისაგან.

ვიმედოვნებ ნაშრომი, სამართლებრივი თვალსაზრისით, საინტერესო იქნება არა
მხოლოდ იურისტებისთვის, არამედ იმ მოქალაქეებისთვის, რომლებიც მოღვაწეობენ
მცირე და საშუალო ბიზნეს სექტორში და აპირებენ კიდევ უფრო გააფართოვონ ის.

ნაშრომი მკითხველს დაეხმარება უკეთ გაიაზროს საკითხის როგორც დადებითი,
ისე უარყოფითი ასპექტები, აქტუალობა და მისი მნიშვნელობა საზოგადოების განვითა-
რების საქმეში.

I თავი. შეზღუდული პასუხისმგებლობის და პარტნიორის მნიშვნელობა შპს-სა და სს-ში

1.1. შეზღუდული პასუხისმგებლობა, როგორც მეწარმეობის განვითარების საფუძველი

1.1.1. შეზღუდული პასუხისმგებლობა - მეწარმეობის განვითარების მთავარი მასტიმულირებელი ფაქტორი

ჩვენი ქვეყნის განვითარებისათვის, საბაზრო ეკონომიკის პირობებში, მნიშვნელოვანია ის საკანონმდებლობლო ცვლილებები, რომელიც მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონმა განიცადა. კერძოდ, მოხდა ბიზნესის დაწყებისთვის საჭირო პროცედურების გამარტივება და სამეწარმეო კანონმდებლობის დაახლოება ევროპულ კანონმდებლობასთან. ქვეყანაში მოქმედი 1994 წლის საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ“ არეგულირებს სამეწარმეო საქმიანობას და ცდილობს კანონის გამოყენება მარტივი გახადოს.

ისტორიულად სამეწარმეო სუბიექტებმა გაირეს განვითარების რთული გზა, ყველა მონაწილის სრულ პასუხისმგებლობაზე დაუძნებელი კომპანიებიდან ისეთ კომპანიებამდე, რომლებიც აგებული არიან სააქციო საზოგადოების პრინციპებით, მსხვილი კაპიტალის გაერთიანების მიზნით გამოშვებული ფასიანი ქაღალდების მეშვეობითა შეზღუდულ პასუხისმგებლობაზე.¹

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებები მცირე და საშუალო მეწარმეობის ორგანიზაციული ფორმაა. მისი ჩამოყალიბება განაპირობა საზოგადოების მოთხოვნილებებმა. კერძოდ საშუალო ფენას სჭირდებდა ეფექტური, მარტივი და საკუთარი სამართალსუბიექტურობის მქონე, ამავე დროს შეზღუდული პასუხისმგებლობის მცირე

¹ დიმიტრი კარუნა, *შედარებითი საკორპორაციო სამართალი: ევროკავშირის, აშშ-ს, დიდი ბრიტანეთის საკორპორაციო სისტემების შედარებით-სამართლებრივი მიმოხილვა, თვისუფალი ეკონომიკური ზონები და ოფშორული ზონები* (თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2013 წ.), გვ: 35

საზოგადოება, რომელიც მსურველს კაპიტალის დაბანდების მარტივ ფორმას შესთავაზებდა.²

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ხანგძლივი ისტორიით არ გამოირჩევა. მისი წარმოშევა დაკვაშირებულია ერთის მხრივ, პასუხისმგებლობის საკითხთან და მეორეს მხრივ კი, ის შეიქმნა იმ მიზნით, რომ გამარტივებულიყო სააქციო საზოგადოების დაარსებისათვის საჭირო რთული პროცედურა. სწორედ პასუხისმგებლობის საკითხი გახლავთ მთავარი განმსაზღვრელი ფაქტორი საზოგადოებაში მონაწილეობის მსურველებისათვის, რამაც სავაჭრო სამართალში დაამვიდრა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება³

შპს პირველად 1892 წლის 20 აპრილს გერმანიაში იქნა ლეგალიზებული, ინიციატივა ეკუთვნის გერმანიის რაიხსტაგს. ინგლისელმა კანონმდებლებმა შპს-ს სამართლებრივი რეგულირება 1908 წლის გაერთიანების აქტით მოახდინეს. რუსეთში 1912 წლიდან გაჩნდა მოსაზრებები ამ ფორმის შემოღების შესახებ, ამჟამად ის კანონით „შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების შესახებ“ რეგულირდება. აშშ-ში მისი მოქმედების ძირითადი წესები და პირობები სასამართლო პრაქტიკით რეგულირდება.⁴

ქართულ სამეწარმეო პრაქტიკაში, მნიშვნელოვანი ადგილი დაიმკვიდრა შეზღუდულ პასუხისმგებლობაზე დაფუძნებულმა იურიდიულმა პირებმა.

ქართულმა სამართალმა მნიშვნელოვნად გაამარტივა შპს-ს დაარსება და სახელშეკრულებო თავისუფლების ხარისხით ალბათ ყველა ლიბერალური მართლწესრიგის მსგავს „პროდუქტს“ გადააჭარბა. რეფორმის შედეგად მივიღეთ კაპიტალური საზოგადოება კაპიტალის გარეშე.

„შეიძლება ითქვას რომ ქართველმა კანონმდებელმა შპს-ს ფუნქციონირების კორპორაციულ-სამართლებრივი ჩარჩოების დადგენასა და მესამე პირთა ინტერესების დაცვაზე ხელი აიღო და მეწილეებს, კრედიტორებს და სხვა დაინტერესებულ ჯგუფებს

² ი. ბურდული, რედ. *საკორპორაციო სამართლის კრებული* (თბილისი: გამ-ბა მერიდიანი, 2011წ) წიგნი I, გვ: 33

³ ნინო ჯიბუტი, „კორპორაციის ცნება სამართლებრივი სისტემების მიხედვით“, სარჩევი (2012 წ), გვ:45

⁴ ქ. ქოქრაშვილი, *სამეწარმეო სამართალი* (თბილისი: საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, 2007) , გვ: 257

დააკისრა. ამით კანონმდებელმა მოიხსნა პასუხისმგებლობა საზოგადოებასთან კავშირში მყოფი სუბიექტების ბედის განსაზღვრაზე.“⁵ მიზანი კი არის ეკონომიკის სტიმულირება, რადგან საწარმოთა დაარსების გამარტივება განაპირობებს სამეწარმეო სუბიექტების ზრდას, თავის მხრივ კი, საწარმოთა ზრდა განაპირობებს დიდი რაოდენობით კაპიტალის მოზიდვას ქვეყანაში, რაც მისი განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საფუძველია.

შეზღუდული პასუხისმგებლობა ბიზნეს-სამართლებრივი ორგანიზაციების მარეგულირებელი სამართლის კარგად ნაცნობი ინსტიტუტია. ის იცავს სამეწარმეო სუბიექტის პარტნიორს პირადი პასუხისმგებლობისაგან სამეწარმეო ურთიერთობებში წარმოშობილი ვალდებულებებისათვის.⁶ შეზღუდული პასუხისმგებლობა იცავს მხოლოდ პარტნიორის და არა სამეწარმეო სუბიექტის ქონებას. ამდენად გამორიცხულია სამეწარმეო სუბიექტის და მისი პარტნიორის პასუხისმგებლობა ერთმანეთის ვალეზისათვის.

პარტნიორის შეზღუდულმა პასუხისმგებლობამ, საქართველოში გასაკუთრებული გავლენა მოახდინა ბიზნეს სექტორის განვითარებაზე. 2013 წლის საჯარო რეესტრის სააგენტოს მონაცემებით შპს-ს მეორე ადგილი უჭირავს სხვა ფორმის სამეწარმეო სუბიექტებს შორის, რაც განპირობებულია იმით, რომ შეზღუდულია საზოგადოების კრედიტორების წინაშე პარტნიორების პასუხისმგებლობა, ე. ი. ამ საწარმოს პარტნიორები საზოგადოების ვალეზზე სოლიდარულად კი არ აგებენ პასუხს, არამედ საწარმოს საწესდებო კაპიტალით. უმთავრესად, სწორედ ეს მიზეზი ხდება შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების შექმნის საფუძველი, რადგან დამფუძნებლები ხშირად გაურბიან თავიანთი პირადი ქონებით პასუხისმგებლობას.

⁵ ი. ბურდული, რედ. *საკორპორაციო სამართლის კრებული* (თბილისი: გამ-ბა მერიდიანი, 2011წ) წიგნი I, გვ: 35

⁶ იქვე გვ: 75

1.1.2. მეწარმეობა, როგორც სამართლის ობიექტი და მისი ძირითადი ნიშნები

მეწარმეობა, კანონიერების თვალსაზრისით, სამართალში იყოფა კანონიერ და არაკანონიერ სამეწარმეო საქმიანობად.

კანონიერი სამეწარმეო საქმიანობის უპირატესობები, არაკანონიერ სამეწარმეო საქმიანობასთან მიმართებაში, ცალსახად ნათელია: სახელმწიფოს მხრიდან, საქმიანობის განხორციელების ხელშეწყობა მნიშვნელოვანი საგადასახადო შეღავათების და დაცვის თვალსაზრისით; დროში განგრძობადობა; ბაზარზე თავისუფლად შეღწევის და მაქსიმალური მოგების მიღებისათვის თავისუფალი მოქმედების უნარი; შესაძლო არაკანონიერი მოქმედების შემთხვევაში პასუხისმგებლობის შესაბამისობა დარღვევის ხარისხთან და სხვა.

საქართველოს მეწარმეთა შესახებ კანონის I მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით „სამეწარმეო საქმიანობად მიიჩნევა მართლზომიერი და არაერთჯერადი საქმიანობა, რომელიც ხორციელდება მოგების მიზნით, დამოუკიდებლად და ორგანიზებულად“. ამდენად სამართლით დაცულია მეწარმეობა, რომელიც არის ლეგალიზებული და მისი განხორციელება არ წარმოადგენს საფრთხეს საზოგადოებისა და სახელმწიფოსათვის.

ეკონომიკის სფეროების მიხედვით მეწარმეობა იყოფა 4 ძირითად მიმართულებად: საწარმოო (სამშენებლო, მრეწველობა, სოფლის მეურნეობა), სავაჭრო (საბითუმო და საცალო), ფინანსური (მათ შორის სადაზღვევო), საკონსულტაციო.

ყველაზე გავრცელებულია სამეწარმეო საქმიანობის სამი ფორმა: ინდივიდუალური სამეწარმეო საქმიანობა, ამხანაგობა და კაპიტალური ტიპის საზოგადოება.

კაპიტალური ტიპის საზოგადოებები, სამეწარმეო საქმიანობის სხვა ფორმებთან შედარებით, გამოირჩევიან მნიშვნელოვანი უპირატესობებით ესენია: ძლიერი ფინანსური რესურსები, შეზღუდული პასუხისმგებლობა, ფინანსური ლიკვიდურობის უპირატესობა, მისი არსებობის შეუზღუდაობა. უპირატესობებთან ერთად მას გააჩნია ის ნაკლოვანებები, რომლებიც სხვა ტიპის სუბიექტებს არ ახასიათებთ და მათ უპირატესობად შეიძლება მივიჩნიოთ ესენია: საზოგადოების დაფუძნების გართულე-

ბული წესები, სახელმწიფო ორგანოების მხრიდან განსაკუთრებული ზედამხედველობა, მაღალი გადასახადები, საქმიანობის შეწყვეტასთან დაკავშირებული სირთულეები (მატერიალური, ტექნიკური, საკადრო, ფსიქოლოგიური და სხვა).

სამწარმო სამართალი, მეწარმეობის როგორც სამართლით დაცული ობიექტის ძირითად ნიშნად მიიჩნევს საქმიანობას, რომელსაც ახასიათებს მართლზომიერება, არაერთჯერადობა, დამოუკიდებლობა, ორგანიზებულობა და მოგების მიღების სურვილი, თუმცა შეიძლება გამოიყოს კიდევ რამოდენიმე ნიშანი, რომელიც მნიშვნელოვანია მისი მნიშვნელობის უკეთ გაგებისათვის და სამეწარმო სუბიექტების მოქმედებისათვის პასუხისმგებელი პირების პასუხისმგებლობის ხარისხის გააზრებისათვის.

განვიხილოთ სამეწარმო საქმიანობის ძირითადი ნიშნები:

1) მოგების მიღების სურვილი არის სამეწარმო საქმიანობის ძირითადი მიზანი და ნიშანი. მოგება წარმოადგენს სპეციალური ადამიანი რესურსის - სამეწარმო უნარების პროდუქტს. მოგება არის შრომის ანაზღაურება, რომელსაც სწევს მეწარმე.

2) დამოუკიდებლობა - აძლევს საშუალებას სუბიექტს, თავისუფლად გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას - აირჩიოს მისთვის მისაღები სამეწარმო საქმიანობის სახე და ფორმა, მისი განხორციელების გზები, საჭირო კონტრაგენტები და სხვა.

3) მეწარმეობის ერთ-ერთი მთავარი ნიშანია პირადი ეკონომიკური დაინტერესების პრინციპი. პირადი გამორჩენა წარმოადგენს მეწარმეობის წამყვან ფაქტორს. ნებისმიერი სამეწარმო ურთიერთობების მონაწილისთვის არსებითია თავისი პირადი სარგებელი და შესაბამისად ყველა მოქმედება თუ უმოქმედობა განპირობებულია მისი მიღების მოტივით.

4) ნოვატორობის უნარი - რომელიც მნიშვნელოვანია სუბიექტის სიცოცხლისუნარიანობისა და ბაზარზე უპირატესობის მოპოვებისათვის. საბაზრო ეკონომიკის პირობებში მხოლოდ პროდუქციის ფასებით მანიპულირება ვერ უზრუნველყოფს სტაბილურ და მაღალ შემოსავლას, მნიშვნელოვანია მეწარმემ უზრუნველყოს თავისი პროდუქტის მაღალი ხარისხი და მრავალფეროვნება, რაც აიძულებს მას იფიქროს სიახლეების დანერგვაზე.

5) სამეურნეო რისკი - არის ის ნიშანი, რომელიც თან სდევს ბიზნესს და მნიშვნელოვანად განსაზღვრავს მეწარმის აზროვნებას და ქცევას სამეწარმეო ურთიერთობებში. რისკი არის მისი შესაძლო არასაკეთილდღეო ქონებრივი შედეგი, რომელიც არაა განპირობებული მისი მხრიდან რაიმე სახის გადაცდომით. ის პასუხს აგებს რისკზე თავისი ქონებით, ასევე შესაძლებელია დამატებითი დანაკარგებიც როგორცაა: კონკურენტუნარიანობა, პროფესიული რეპუტაცია, ფსიქოლოგიური მდგომარეობა და სხვა.

აღნიშნული ნიშნების საფუძველზე შეგვიძლია ვთქვათ რომ მეწარმეობა არის სამეურნეო სუბიექტის საინციატივო საქმიანობა, მიმართული მოგების მიღებისაკენ, რაც დაფუძნებულია მათ დამოუკიდებლობაზე, პასუხისმგებლობაზე, ნოვატორობაზე და რისკზე.

ამდენად, იმაზე თუ როგორია ამ ნიშნების ხარისხი, სამეურნეო მოქმედებებში, დამოკიდებულია სამეწარმეო სუბიექტის და მისი პარტნიორის მიერ მიღებული როგორც სარგებელი, ისე პასუხისმგებლობის ზომა და ფორმა, ზოგადად კი საწარმოს არსებობა ბაზარზე.

1.2. პარტნიორის ცნება სამეწარმეო სუბიექტებში

სამეწარმეო სუბიექტების განვითარების საფუძველია მისი ლიკვიდურობა ანუ უნარი, ჰქონდეს შესაძლებლობა სწრაფად და ზედმეტი დანახარჯების გარეშე დააკმაყოფილოს კრედიტორების მოთხოვნები.

საქართველოს "მეწარმეთა შესახებ" კანონით სამეწარმეო საქმიანობის განხორციელების უფლება აქვს ერთ პირსაც, მაგრამ, როგორც უკვე აღინიშნა, შეზღუდული პასუხისმგებლობით მისი განხორციელება იძლევა შესაძლებლობას, მოზიდული იქნას დიდი რაოდენობით ინვესტიცია და მოხდეს ბიზნესის გაფართოვება დამატებითი პასუხისმგებლობის და რისკის გარეშე.

ვფიქრობ, ნაშრომის უკეთ გააზრებისათვის აუცილებელია სრულყოფილად იქნას გაანალიზებული პარტნიორის ცნება, რადგან მისი როგორც პარტნიორის პასუხისმგებლობა, დამოკიდებულია იმაზე არის თუ არა საზოგადოების სრულყოფილი წევრი.

პირს, რომელიც სამეწარმეო საქმიანობის განმახორციელებელი იურიდიული პირის წევრია, ზოგადად პარტნიორი ეწოდება. სააქციო საზოგადოების პარტნიორის მიმართ გამოიყენება ტერმინი „აქციონერი“. პარტნიორი შეიძლება იყოს ნებისმიერი ფიზიკური ან/და იურიდიული პირი, რომელსაც გააჩნია საკუთრებაში განსაზღვრული ქონება და მოქმედი კანონმდებლობით არ ეკრძალება სამეწარმეო საქმიანობის მოქმედი იურიდიული პირის პარტნიორობა.

მეწარმეთა შესახებ კანონი აწესებს საწარმოს რეგისტრაციის ვალდებულებას. მარეგისტრირებელ ორგანოს უნდა წარედგინოს საწარმოს ყველა პარტნიორის მიერ ხელმოწერილი და სათანადო წესით დამოწმებული სარეგისტრაციო განაცხადი, რომელიც იმავდროულად არის პარტნიორთა შეთანხმების ნაწილი.

რეგისტრაციას აქვს გადამწყვეტი იურიდიული ფაქტის მნიშვნელობა, ამიტომ მხოლოდ სამეწარმეო რეესტრში რეგისტრირებული პირი ითვლება ისეთ პარტნიორად, რომელზეც ვრცელდება კანონი მეწარმეთა შესახებ.⁷

⁷ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი, *სასამართლო პრაქტიკის კომენტარი სამოქალაქო და საკორპორაციო სამართალში*, (თბილისი: გამ-ბა „მერიდიანი“, 2003წ), გვ: 138

შპს-სა და სააქციო საზოგადოების პარტნიორად გამოსვლის უფლება აქვს როგორც ფიზიკურ და იურიდიულ პირებს, ისე სახემწიფოს.

საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი საწარმოს⁸ პარტნიორი შეიძლება იყოს როგორც საქართველოს, ისე უცხო ქვეყნის მოქალაქე ფიზიკური, იურიდიული ან მოქალაქეობის არმქონე პირი.

პარტნიორობისთვის რაიმე ასაკობრივი ცენზი არ არის დადგენილი, მაგრამ დამფუძნებელი პარტნიორი შეიძლება იყოს მხოლოდ სრულწლოვანი, ქმედუნარიანობის მქონე პირი. მემკვიდრეობით წილის გადაცემის შემთხვევაში პარტნიორი არასრულწლოვანიც შეიძლება გახდეს, მაგრამ მისი უფლებების რეალიზება კანონიერი წარმომადგენლის საშუალებით განხორციელდება.⁹

მეწარმეთა შესახებ კანონის მე-5 მუხლის 1 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, პირის პარტნიორად ყოფნის დამადასტურებელი ძირითადი დოკუმენტი არის საწარმოს წესდება (სადამფუძნებლო დოკუმენტი), რომელშიც მიეთითება საწარმოს პარტნიორის (პარტნიორების) სახელი და გვარი, საცხოვრებელი ადგილის მისამართი და პირადი ნომერი, ხოლო თუ პარტნიორი იურიდიული პირია – მისი საფირმო სახელწოდება, სამართლებრივი ფორმა, იურიდიული მისამართი, რეგისტრაციის თარიღი, საიდენტიფიკაციო ნომერი და მონაცემები მისი წარმომადგენლების შესახებ.

პარტნიორს გააჩნია საკუთრი წილი საწარმოში, რომელზედაც საკუთრების უფლება წარმოშვებულად ითვლება მისი მეწარმეთა და არასასამეწარმეო რეესტრში რეესტრაციის მომენტიდან.

მათ გააჩნიათ თანაბარი უფლება-მოვალეობები და მათი შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ პარტნიორთა შეთანხმებით ან წესდებით გათავლისწინებულ შემთხვევაში.¹⁰

თავიანთი უფლებამოსილების განხორციელება, პარტნიორებს შეუძლიათ შპს-ში პარტნიორთა კრების, ხოლო სს-ში - აქციონერთა საერთო კრების საშუალებით, რომლებიც არიან ამ ორგანიზაციების უმაღლესი მართვის ორგანოები.

⁸ ნაშრომში, მისი მიზნებიდან გამომდინარე საწარმოში ვგულისხმობ შპს-სა და სს-ას

⁹ ქ. ქოქრაშვილი, *სამეწარმეო სამართალი* (თბილისი: საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, 2007), გვ: 45

¹⁰ საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ“, საქართველოს პარლამენტი- 28/10/1994, № 577, მუხლი 3.9

სამეწარმეო სუბიექტის პარტნიორს უფლებები უწყდება, თუ ის გავა საზოგადოებრიდან, გაასხვისებს წილს, რომლისთვისაც საჭიროა პარტნიორთა თანხმობა ან პარტნიორთა კრების გადაწყვეტილებით გარიცხული იქნება საზოგადოებიდა, ასევე გარდაცვალების შემთხვევაში.

ამდენად, სამეწარმეო საქმიანობის საფუძველია პარტნიოროთა სურვილი, ერთიანი საფირმო სახელწოდებით და ერთიანი კაპიტალით განახორციელონ საქმიანობა, რომელიც იქნება მართლზომიერი, არაერთჯერადი, განხორციელდება მოგების მიღების მიზნით, დამოუკიდებლად და ორგანიზებულად.¹¹

¹¹ იქვე: მუხლი 1.2

1.3. საწევრო შენატანი, როგორც პარტნიორის უფლება-მოვალეობების საფუძველი

სამეწარმეო საქმიონობის განხორციელებისთვის საჭირო საწესდებო კაპიტალი, რომელიც იქმნება პარტნიორთა საწევრო შენატანებით, წარმოადგენს საზოგადოების ქონებას და გამოიყენება ორგანიზაციის მოთხოვნილებისამებრ.

შენატანები უზრუნველყოფენ საზოგადოების საკუთრების უფლების წარმოშობას გაერთიანების ქონებაზე, განსაზღვრავს პარტნიორის ქონებრივ და არაქონებრივ უფლებებს საზოგადოებაში, მის სტატუსს, ასევე პარტნიორის პასუხისმგებლობის მაშტაბებს კაპიტალური ტიპის საზოგადოებებში.¹²

შენატანების სახე, ოდენობა, შეტანის ვადა, წილის დადგენა და სხვა, წესრიგდება საზოგადოების წესდებით.

შენატანების განხორციელების მოთხოვნა საკორპორაციო სამართალში კრედიტორების ინტერესების დაცვას ემსახურება. ორგანიზაციის ქონება შედგება საკუთარი და მოზიდული სახსრებისაგან. ვიდრე ორგანიზაცია სახსრებს მოიზიდავს, მას მნიშვნელოვანია ჰქონდეს გარკვეულის სახის ქონება.

საქართველს „მეწარმეთა შესახებ“ კანონში, შესული ცვლილებების შედეგად, მინიმალური საწესდებო კაპიტალის ვალდებულება სამეწარმეო სუბიექტებისთვის გაუქმებულია. პარტნიორებს შეუძლიათ, წესდებით ან წესდებით გათვალისწინებული წერილობითი ფორმით, ცალკე ხელშეკრულებით, განსაზღვრონ შენატანის შეტანის წესი, ვადა, შესაბამისი წილი, პასუხისმგებლობის მოცულობა ან მისგან გათავისუფლება დადგენილი წესების შეუსრულებლობის შემთხვევაში.

მიმაჩნია მიუხედავად იმისა, რომ პარტნიორებს კანონი შენატანებთან დაკავშირებით მნიშვნელოვან თავისუფლებას ანიჭებს, მან შეიძლება უარყოფითი შედეგიც კი მოუტანოს საზოგადოებას.

ასეთ შემთხვევაში ვლდებულობთ კაპიტალურ საზოგადოებას კაპიტალის გარეშე, რაც პირველ რიგში თავად საზოგადოებას უქმნის პრობლემებს, ვინაიდან დამატებითი

¹² ანა თოხაძე, „შენატანი- მეწარმე სუბიექტის საკუთრების უფლების გარანტიის კონტექსტში“, სარჩევი (2012 წ), გვ:28

დაფინანსების საჭიროების შემთვევაში კრედიტორებს ნაკლები გარანტიები აქვთ, რომ მოვალე შეასრულებს თავის ვალდებულებას, შესაბამისად გაართულებს კრედიტის გაცემის პირობებს, ან უარს იტყვის მის გაცემაზე. შედეგად საზოგადოებას მოუწევს სხვა კრედიტორის ძებნა რაც კიდევ უფრო გაართულებს მის სამუშაო პირობებს.

მიუხედავად იმისა, რომ მინიმალური საწესდებო კაპიტალის მოთხოვნა გაუქმდა, ვიზიარებ მოსაზრებას, რომ კრედიტორთა დაცვის სამართლებრივ მიზანს დიდი დარტყმა არ მიუღია, რადგან ის არასადოს ყოფილა მათი დაცვის გარანტორი, რადგან იგი, საზოგადოების დაფუძნებისას, მალევე ხმარდებოდა საზოგადოების მიზნებს და ამდენად კრედიტორები მაინც დაუცველები რჩებოდნენ.¹³

ამდენად შენატანების საკითხის მოწესრგება, დამოკიდებულია პარტნიორთა შეთანხმებაზე და ორგანიზაციის საჭიროებაზე.

შენატანის განხორციელებით იქმნება საწარმოს ქონება, რომელიც მისი საკუთრებაა და არა პარტნიორის. პარტნიორის ინტერესი კი მოგების მიღებაა, სამეწარმეო საქმიანობის რენტაბელობის შენარჩუნება, საზოგადოების ინტერესებიდან გამომდინარე გადაწყვეტილების მიღება, რაც თავის მხრივ მოგების, აქტივების მოზიდვის მიზანს ემსახურება.

პარტნიორებმა შეიძლება დაადგინონ შენატანების განხორციელების პერიოდულობა, დადგენილი ვადის უშედეგოდ გასვლის შემთხვევაში პარტნიორი, რომელმაც არ განახორციელა გადახდა, კარგავს წილს და ნაწილობრივ შესრულებულ ვალდებულებათა შედეგებსაც, თუ წესდებით სხვა რამ არ არის დადგენილი.¹⁴

„იურიდიული პირის ქონება, იურიდიული პირის, როგორც სამართლის სუბიექტის საკუთრებაა და არა მისი დამფუძნებლების ან მასში მონაწილეების“¹⁵, რაც არ გამო-რიცხავს წილის გასხვისების ან დივიდენდის მიღების უფლებას.

შპს-ს საწესდებო კაპიტალში შეიძლება შეტანილი იქნას ნებისმიერი სახის მატერიალური ან არამატერიალური ქონება, რაც პარტნიორებს აღჭურავს თანაბარი უფლება-

¹³ ი. ბურდული, რედ. *საკორპორაციო სამართლის კრებული*, (თბილისი: გამ-ბა მერიდიანი, 2011წ), წიგნი I, გვ: 36

¹⁴ საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ“, საქართველოს პარლამენტი- 28/10/1994, № 577, მუხლი 3.7

¹⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება (1998-1999წწ), *საქმე №2/36-7*, (თბილისი: 2002წ), გვ: 31-34

მოვალეობებით, გარდა წესდებით გათვალისწინებული შეზღუდვებისა, რომელიც მათი შეთანხმებით მიიღწევა.

მეწარმეთა შესახებ კანონით განსაზღვრული არ არის არაფულადი შენატანის სახეები, მაგრამ სამოქალაქო სამართლის მიხედვით არაფულადი შენატანი შეიძლება იყოს ყველა ნივთი ან არამატერიალური ქონებრივი სიკეთე, რომელთა ფლობაც, სარგებლობაც და განკარგვაც შეუძლიათ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს და რომელთა შექმნაც შეიძლება შეუზღუდავად, თუკი ეს აკრძალული არ არის კანონით ან არ ეწინააღმდეგება ზნეობრივ ნორმებს.¹⁶

შენატანი შეიძლება განხორციელდეს როგორც ნივთების ორგანიზაციისათვის გადაცემით, ისე იმ მოთხოვნების და უფლებების დათმობით, რომლებიც პარტნიორის პირად საკუთრებას წარმოადგენენ.

არაფულადი ქონების გადაცემისას მნიშვნელოვანია მოხდეს მათი გადაცემა უძრავ და მოძრავ ნივთზე საკუთრების გადაცემისათვის დადგენილი წესით, რათა თავიდან იქნას აცილებული გაუგებრობები საზოგადოებასა და პარტნიორს შორის. პარტნიორმა უნდა იცოდეს სად წყდება შენატანზე მისი საკუთრების უფლება, რადგან შენატანის განხორციელების შედეგ ის კარგავს მასზე საკუთრების უფლებას და საზოგადოება ხდება მისი მესაკუთრე.¹⁷

შენატანის განხორციელების წესი კანონით დადგენილი არ არის და ის პარტნიორების გადაწყვეტილებაზეა დამოკიდებული. ის შეიძლება განხორციელდეს ერთდროულად როგორც ფულადი, ისე არაფულადი ფორმით. არაფულადი შენატანის არასაკმარისობის შემთხვევაში, ის შეიძლება შეივსოს ფულადი ფორმით, საწარმოში წილის პროპორციულად.

განხვავებით შპს-ს კაპიტალისაგან, სს-ის კაპიტალი დაყოფილია აქციებად. აქციონერის ხმის უფლება საზოგადოებაში, გამომდინარეობს მის მიერ განხორციელებული იმ შენატანების პროპორციულად, რომლებიც მან უკვე განახორციელა. აქციები იყოფა პრივილეგირებულ აქციებად, რომელიც მხოლოდ დივიდენდის მიღების შესაძლებლო-

¹⁶ საქართველოს კანონი, „სამოქალაქო კოდექსი“, საქართველოს პარლამენტი-26/06/1997, №786, მუხლი 147

¹⁷ ი. პაპასქუა, *შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება პრაქტიკაში: საწარმოთა ყველაზე გავრცელებული ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა*, (თბილისი: ბიზნეს-კურიერი, 2002), გვ: 32

ბას იძლევა და არა საზოგადოების მართვაში მონაწილეობის უფლებას და ჩვეულებრივ აქციებად, რომელიც მის მფლობელს დივიდენდის მიღების საშუალებასთან ერთად, ანიჭებს ხმის უფლებას აქციონერთა საერთო კრებაზე.¹⁸

საქართველოს მეწარმეთა შესახებ კანონი განსაზღვრავს შენატანის ორ მნიშვნელოვან ცნებას. ერთი არის შენატანი, რომელიც პარტნიორის მიერ ვალდებულების შესრულებას გამოხატავს და შესატანი, რომელიც მას აკისრებს შეუსრულებელი ვალდებულების შესრულებას. შენატანის განხორციელება დადგენილი წესის მიხედვით, პარტნიორის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ვალდებულებაა. იმ შემთხვევაში, თუ დადგენილია მისი შეტანის პერიოდულობა, საზოგადოების კრედიტორების წინაშე მისი პასუხისმგებლობა განისაზღვრება შეუტანელი შესატანის ნაწილითაც.

ამდენად, შენატანი ასრულებს უმნიშვნელოვანეს ფუნქციას, ის ქმნის პარტნიორის წილს საზოგადოებაში, უზრუნველყოფს გარკვეული სახის უფლება-მოვალეობებს, იძლევა დივიდენდის მიღების შესაძლებლობას და მის ფარგლებში დგება პასუხისმგებლობის საკითხი კრედიტორების წინაშე, საზოგადოების ვალდებულებებისათვის.

¹⁸ ი.ბურდული, *ქონებრივი ურთიერთობები სააქციო საზოგადოებაში*, (თბილისი: უნივერსიტეტის გამ-ბა, 2008 წ), გვ. 203-204

II თავი. პარტნიორის უფლებები და პასუხისმგებლობა შპს-სა და სს-ში

2.1. პარტნიორების უფლებები

მას შემდეგ, რაც პირი განახორციელებს შენატანს საზოგადოებაში, ის ხდება მისი პარტნიორი და იძენს როგორც ქონებრივ, ისე არაქონებრივ უფლებებს.

სამართლებრივ დოქტრინაზე დაყრდნობით საწარმოს პარტნიორთა უფლება - მოვალეობები პირობითად შეიძლება იყოს: კანონზე დაფუძნებული, საზოგადოების წესდებაზე და ხელშეკრულებაზე დაფუძნებული და სასამართლო პრაქტიკაზე დაფუძნებული¹⁹.

კანონზე დაფუძნებულ უფლებებს მიეკუთვნება: პარტნიორთა საერთო კრებაზე მონაწილეობის, წლიური ანგარიშების მიღების, ასევე წლიური ბალანსის შემოწმების უფლებები.

წესდებაზე დაფუძნებული უფლებებია: საბუღალტრო დოკუმენტაციის შემოწმება, წლიური ანგარიშების შესახებ განმარტებების მიღების, საზოგადოების ქონებაში შენატანის შეტანის, დივიდენდის მიღების, წილის გასხვისების, საზოგადოების ლიკვიდაციის პროცესში მონაწილეობის და სხვა უფლებები.

სასამართლო პრაქტიკა პარტნიორებს ანიჭებთ საზოგადოების საერთო კრების გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლებას.

პარტნიორთა საერთო კრებაზე ხდება მათი ძირითადი უფლებების და მოვალეობების რეალიზაცია, კერძოდ სამეურნეო პოლიტიკის ძირითადი პრინციპების განსაზღვრა, საზოგადოების წესდებაში ცვლილებების შეტანა, ფილიალების დაარსება, უძრავი ქონების გასხვისება ან დატვირთვა, წლიური შედეგების დამტკიცება და ა.შ

აქციონერთა უფლებებიდან უპირველესად აღსანიშნავია დივიდენდის მიღების უფლება. დივიდენდი²⁰ არის აქციონერის/მოწილის მიერ აქციებიდან ან უფლებებიდან (წილებიდან) მიღებული (მათ შორის, პრივილეგირებული აქციებიდან პროცენტის

¹⁹ ქ. ქოქრაშვილი, *სამეწარმეო სამართალი* (თბილისი: საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, 2007) , გვ:146-147

²⁰ იხ. <http://www.forms.ge/akhali-sagadasakhado-kodeksi/mukhli-8-terminta-ganmarteba> 2014 წ. 12.05 14:22

სახით მიღებული) ნებისმიერი შემოსავალი, რომელიც მიიღება მოგების განაწილების შედეგად და რომელსაც იურიდიული პირი უნაწილებს აქციონერებს/მოწილეებს, კაპიტალში მათი კუთვნილი აქციების/უფლებების პროპორციულად ან პროპორციის დაცვის გარეშე.

აქციონერებს უფლება აქვთ საერთო კრებაზე დღის წესრიგის თითოეული პუნქტის გამო განმარტებები მოსთხოვონ, როგორც ზეპირად ისე წერილობით, დირექტორებსა და სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს. წერილობითი მოთხოვნა წაყენებული უნდა იყოს საერთო კრებამდე ათი დღით ადრე ან განხილული იქნას დღის წესრიგის ერთ-ერთ საკითხად.²¹

შედარებით გაზრდილი უფლებებით სარგებლობენ საწესდებო კაპიტალის 5%-ის მფლობელი აქციონერები. მათ უფლება აქვთ, მოითხოვონ სამეურნეო მოქმედების ან წლიური ბალანსის შემოწმება, თუ მიიჩნევენ, რომ ადგილი აქვს დარღვევებს, მოთხოვნების არ დაკმაყოფილების შემთხვევაში, უფლება აქვთ მიმართონ სასამართლოს.

საზოგადოების პარტნიორი უფლებამოსილია წილი ან მისი ნაწილი (მიიღება საზოგადოების მიერ წილის დაყოფით ორ ან რამდენიმე წილად ისე, რომ თითოეულის ნომინალურ ღირებულებათა ჯამი უნდა შეესაბამებოდეს თავდაპირველი წილის ნომინალურ ღირებულებას) გაასხვისოს ნებისმიერ დროს, იმ მოცულობით, რაც უკვე შეტანილია საწესდებო კაპიტალში, თუმცა შეიძლება დაწესდეს შეზღუდვები.

შპს-ს წესდებაში ან ხელშეკრულებაში შესაძლოა არსებობდეს დებულება იმის შესახებ, რომ პარტნიორის მიერ წილის გასხვისების შემთხვევაში, უპირატესობა ენიჭება თვით ამ საზოგადოების პარტნიორებს.

წილის შეძენით ახალი პირი იკავებს ძველი პარტნიორის ადგილს საზოგადოებაში.

წილი გასხვისება ნიშნავს მის გადაცემას სხვა პირის საკუთრებაში კანონით დადგენილი წესით. საზოგადოებას უფლება არა აქვს გაასხვისოს პარტნიორის წილი²²

²¹ ე. შენგელია, *სააქციო საზოგადოების ორგანიზაციისა და ფუნქციონირების სამართლებრივი საფუძვლები*, (თბილისი: გამ-ბა „მერიდიანი“, 2002წ), გვ: 40

²² საქართველოს უზენაესი სასამართლო, *გადაწყვეტილებები სამოქალაქო საქმეებზე*, <http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/samoq2001-1-uni.pdf>, 19.06.2014წ. გვ.4-5

საქართველოს კანონმდებლობა კრძალავს საზოგადოების მიერ წილის შექმნას. აკრძალვა ეყრდნობა დებულებას, „საზოგადოება არ შეიძლება იმავდროულად იყოს საკუთარი თავის პარტნიორი“.

თუ შპს-ს წილი მეუღლეთა თანაცხოვრების პერიოდშია შექმნილი იგი წარმოადგენს მეუღლეთა თანასაკუთრებას და მისი განკარგვა ხორციელდება სამოქალაქო კოდექსით დადგენილი ნორმებით.

წილი ასევე შედის სამკვიდრო ქონებაში და პარტნიორის გარდაცვალების შემთხვევაში, პარტნიორად გვევლინება მისი მემკვიდრე. საზოგადოების პარტნიორებს შეუძლიათ არ მიიღონ მემკვიდრე პარტნიორად, მაგრამ ეკისრებათ ვალდებულება, გადაუხადონ მას წილის შესაბამისი თანხა, ან მისცენ ამ ღირებულების ქონება. ასეთ შემთხვევაში ქონების საწესდებო კაპიტალი შემცირებას ექვემდებარება, ხოლო აღნიშნული ფაქტი რეესტრში რეგისტრაციას.

პარტნიორის ერთ-ერთი უფლებაა საზოგადოებიდან პარტნიორის გასვლა, რაც სამეწარმეო პრაქტიკაში დავის საგანი ხდება, რადგან ის იწვევს საწარმოს ბალანსის ცვლილებას.

დაუშვებელია პარტნიორის გასვლა ერთი პირის მიერ შექმნილი საწარმოდან.

პარტნიორს უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს საწარმოს ლიკვიდაციის პროცესში და მიიღოს, საწარმოს ვალების გადახდის შემდეგ დარჩენილი ქონება საწარმოში წილის პროპორციულად.

ჩემი აზრით, მნიშვნელოვანია: პარტნიორებმა სრულყოფილად გაიაზრონ თავიანთი უფლება-მოვალეობები, რათა იზრუნონ მათ რეალიზაციაზე, რაც თავის მხრივ ხელს უწყობს საწარმოს განვითარებას; ხელი არ შეუშალონ სხვა პარტნიორებს მათი უფლებების განხორციელებაში, რისთვისაც შესაძლებელია დადგეს მათი პასუხისმგებლობის საკითხი, რითაც პრობლემებს შეუქმნან როგორც საკუთარ თავს, ისე, სამეწარმეო სუბიექტს, რომელიც შესაძლოა ძალიან მძიმე შედეგების მომტანი აღმოჩნდეს ნებისმიერი მხარისათვის, როგორც მორალური, ისე მატერიალური თვალსაზრისით.

2.2. პარტნიორის პასუხისმგებლობის ფორმები და საფუძვლები

შპს-სა და სს-ში პარტნიორის ძირითადი ფორმაა შეზღუდული პასუხისმგებლობა, მაგრამ კანონი ითვალისწინებს შემთხვევებს, როცა დგება მათი სოლიდარული პასუხისმგებლობის საკითხი, რომელიც ძირითდად პრობლემა არის მაშინ, როცა ის ვერ აცნობიერებს მოსალოდნელ შედეგებს. ვერ მართლდება პარტნიორის მოლოდინი, შეზღუდული პასუხისმგებლობის ფორმასთან დაკავშირებით, საზოგადოების ვალდებულებებისათვის და დგება სოლიდარული პასუხისმგებლობა. ამდენად მიმაჩნია, რომ მნიშვნელოვანია განვიხილოთ პასუხისმგებლობის ფორმები და საფუძვლები.

სამეწარმეო სამართალი ითვალისწინებს პარტნიორთა პასუხისმგებლობის ორ ძირითად ფორმას, საზოგადოების კრედიტორების წინაშე, როცა ისინი პასუხს აგებენ საზოგადოების ვალდებულებებისათვის ესენია: სოლიდარული პასუხისმგებლობა, როცა პარტნიორი პასუხს აგებს პირდაპირ და უშაუალოდ მთელი თავისი ქონებით და შეზღუდული პასუხისმგებლობა, როცა პარტნიორი პასუხს აგებს მის მიერ განხორციელებული შენატანის ფარგლებში, მაგრამ ასევე მის მიერ შეუტანელი შესატანითაც, თუ პასუხისმგებლობა დადგა პარტნიორის მიერ შეთანხმებული შესატანის სრულად შეტანამდე.

სამეწარმეო სუბიექტების დამფუძნებელი პარტნიორები უპირველესად პასუხისმგებელი არიან თვით საზოგადოების წინაშე. დამფუძნებლები პასუხს აგებენ საზოგადოების დაფუძნების პროცესში არასწორი და არასრულყოფილი მონაცემების მიცემაზე. ისინი ასევე ვალდებული არიან, უზრუნველყონ დირექტორის მიერ თავისი უფლებამოსილების დამოუკიდებლად განხორციელების უზრუნველყოფა.²³

დამფუძნებელ-პარტნიორებთან ერთად პასუხისმგებლობა ეკისრება ასევე სამეთვალყურეო საბჭოს თითოეულ წევრს, რომელიც შეიძლება იყოს ნებისმიერი პირი, მათ შორის პარტნიორიც, თუ სამეთვალყურეო საბჭოს წევრები კეთილსინდისიერად და გულმოდგინედ არ შეასრულებენ მასზე დაკისრებულ მოვალეობას.

²³ ი.ბურდული, *ქონებრივი ურთიერთობები სააქციო საზოგადოებაში*, (თბილისი: უნივერსიტეტის გამ-ბა, 2008 წ), გვ:94

მიუხედავად იმისა, რომ კომერციული იურიდიული პირი სამართალურთიერთობების დამოუკიდებელი სუბიექტია და ზოგადი პრინციპის თანახმად, ის კრედიტორების წინაშე პასუხს აგებს საკუთარი და არა პარტნიორის ქონებით, ზოგ შემთხვევაში, დასავლეთის ქვეყნების პრაქტიკაში აქტუალური იყო კითხვა არსებობს კი კაპიტალური ტიპის საზოგადოებაში პარტნიორების პასუხისმგებლობა? ან მათ მიერ განხორციელებული შენატანების გარდა, ხომ არ არიან ისინი კიდევ რამეზე პასუხისმგებელი? მეწარმეთა შესახებ კანონი ცალსახად განსაზღვრავს, რომ საზოგადოების პასუხისმგებლობა შემოიფარგლება მხოლოდ მისი ქონებით. „ასეთი ტიპის საწარმოს სამართლებრივი ბუნება და არსი სწორედ ისაა, რომ საზოგადოების წევრმა, რომელსაც თავად არ ესაჭიროება ფინანსური საშუალებები, აქციათა შეძენით ისინი მომგებიანად დააბანდოს ისე, რომ პასუხს აგებდეს მხოლოდ მის მიერ შესრულებული შენატანებით“²⁴ მაგრამ მაინც არ გამოირიცხება საწარმოს პარტნიორთა პირადი პასუხისმგებლობა. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, საქართველოს კანონმდებლობამ გაითვალისწინა უცხოეთის მდიდარი გამოცდილება და დაადგინა, რომ შეიძლება დადგეს პარტნიორის სოლიდარული პასუხისმგებლობის საკითხი.

იმ შემთხვევაში, თუ პასუხისმგებლობის შეზღუდვის ფორმის სამართლებრივი ნორმები ბოროტად იქნა გამოყენებული, ან თუ პარტნიორის დაუდევარი მოქმედების შედეგად დადგა ზიანი ან თუ დომინანტმა პარტნიორმა თავისი დომინანტური მდგომარეობა განზრახ გამოიყენა საზოგადოების საზიანოდ, მან დანარჩენ პარტნიორებს უნდა გადაუხადოს შესაბამისი კომპენსაცია. დომინანტად ითვლება პარტნიორი ან პარტნიორთა ჯგუფი, რომელთაც აქვთ პრაქტიკული შესაძლებლობა, გადამწყვეტი ზეგავლენა მოახდინონ საზოგადოების საქმიანობაზე.²⁵

მეწარმეთა შესახებ კანონი ითვალისწინებს, პარტნიორის გარიცხვის შესაძლებლობას, მის მიერ ჩადენილი დარღვევისათვის. პრაქტიკამ აჩვენა, რომ ამის საფუძველი შეიძლება იყოს პარტნიორებს შორის არასაიმედო და დამაბული მდგომარეობა.

²⁴ ავტორთა კოლექტივი, *კეთილსინდისიერი ხემძღვანელობის ვალდებულება და პასუხისმგებლობა სააქციო საზოგადოებაში ქართული და გერმანული სამართლის მიხედვით, სიმპოზიუმის მასალები, II გერმანულ-ქართული სიმპოზიუმი 2003* (თბილისი: 2003წ), გვ:

²⁵ ქ. ქოქრაშვილი, *სამეწარმეო სამართალი* (თბილისი: საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, 2007), გვ:161

პარტნიორის გარიცხვის საკითხის დაყენების უფლება აქვს პარტნიორთა კრებას, თუმცა საბოლოო გადაწყვეტილება მიიღება სასამართლოს მიერ. პარტნიორთა გარიცხვის შემთხვევაში მას უნდა მიეცეს თავისი წილის შესაბამისი თანხა.

მაგალითისათვის განვიხილოთ შემთხვევა²⁶: ერთ-ერთი ბანკი, დავარქვათ მას „ა“ არის ერთ-ერთი „ბ“ საწარმოს 10%-იანი წილის მფლობელი. საწარმომ გადაწყვიტა კრედიტის გამოტანა სხვა ბანკიდან უფრო შეღავათიანი პირობებით, მაგრამ „ა“ ბანკმა გადაწყვიტა დაეცვა მისი ინტერესები, ის მიუთითებდა მის, როგორც პარტნიორის, მდგომარეობაზე და აპელირებდა, რომ სხვა დროს გამგეობის გადაწყვეტილების წინააღმდეგ მისცემდა ხმას, ამასთან გამგეობის წევრს ახსენებდა იმ გარემოებას, რომ მას ჰქონდა ბანკის კერძო კრედიტი და ნებისმიერ დროს შეეძლო მისი შეწყვეტა. შედეგად, საწარმომ აიღო სესხი პარტნიორი ბანკისაგან, რაც აშკარად არახელსაყრელი აღმოჩნდა საწარმოსთვის.

მიმაჩნია, რომ ამ შემთხვევიდან იკვეთება პარტნიორი ბანკის და გამგეობის წევრის შეგნებული მოქმედება, შესაბამისად, პასუხისმგებლობა ეკისრება ორივე სუბიექტს. ერთის მხრივ სახეზეა დომინირებული მდომარეობის ბოროტად გამოყენება, მეორეს მხრივ კი პირადი ინტერესის დაპირისპირება საზოგადოების ინტერესთან, კეთილსინდისიერი ხელმძღვანელობის ვალდებულების დარღვევა, ვინაიდან სხვა შემთხვევაში საწარმო აიღებდა დაბალპროცენტულ კრედიტს, ცხადია იმ შემთხვევაში თუ გამგეობის წევრი დაიცავდა საზოგადოების ინტერესს, საწარმო ნახავდა მოგებას, რაც ასევე შედიოდა პარტნიორი „ა“ ბანკის ინტერესშიც.

საქართველოს მეწარმეთა შესახებ კანონის მე-9 მუხლის მე-6 პუნქტის მიხედვით აღნიშნულ პარტნიორს და გამგეობის წევრს ეკისრება სოლიდარული პასუხისმგებლობა ზიანის ასანზადაურებლად და ასევე შესაძლოა დადგეს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა.

დასკვნის სახით, შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს მეწარმეთა შესახებ კანონით პარტნიორი პასუხს აგებს ძირითადად ორ შემთხვევაში, ერთის მხრივ, ის პასუხს

²⁶ ავტორთა კოლექტივი, *კეთილსინდისიერი ხელმძღვანელობის ვალდებულება და პასუხისმგებლობა საქციელ საზოგადოებაში ქართული და გერმანული სამართლის მიხედვით, სიმპოზიუმის მასალები, II გერმანულ-ქართული სიმპოზიუმი 2003* (თბილისი: 2003წ), გვ: 232

აგებს უკანონო ქმედების დროს და მეორეს მხრივ, კეთილსინდისიერი ვალდებულებების დარღვევისას, მაშინ როცა ის საწარმოს საკუთარი მიზნებისთვის გამოიყენებს. ამ ორი სფეროს გარეთ პასუხისმგებლობა ხელშეუხებელია, ამიტომ ძალაში რჩება პრინციპი: აქციონერი პასუხს არ აგებს.²⁷

2.3. კორპორაციული განჭოლვა, როგორც კრედიტორების დაცვის საშუალება.

საკორპორაციო სამართლის ძირითდი ფუნქციაა: საზოგადოების ორგანიზაციული სტრუქტურის ჩამოყალიბება და ინსაიდერებს, მენეჯერებს, საკოტროლო პაკეტის მფლობელ პირებს, მინორისტ აქციონერეთა თუ კრედიტორებს შორის არსებულ ინტერესთა კონფლიქტის კონტროლი²⁸. საკორპორაციო სამართლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფუნქცია არის კრედიტორების ინტერესების დაცვის უზრუნველყოფა.

საზოგადოების კრედიტორებისათვის კორპორაციის პარტნიორთა პირადი ქონება მიუწვდომელია, რაც მათი ინტერესების დაცვის უფრო მძლავრი მექანიზმების არსებობას საჭიროებს.²⁹ კრედიტორები საზოგადოებასთან სახელშეკრულებო ურთიერთობების დამყარებით რისკზე მიდიან, თუმცა მათ დაცვის გარანტიებს კანონი უზრუნველყოფს. საზოგადოება ვალდებულია, ჰქონდეს გარკვეული სახის ფინანსური პოტენციალი, რომლის საფუძველზეც კრედიტორთა დაკმაყოფილება მოხდება.

კრედიტორთა დაცვის ლეგიტიმურობის საფუძველს იძლევა შეზღუდული პასუხისმგებლობის ფიგურა. კრედიტორებს არა აქვთ უფლება ჩაერიონ საზოგადოების საქმიანობაში, რადგან მათ კორპორაციული ძალაუფლება არ გააჩნიათ.

სამეწარმეო სამართალმა უნდა უზრუნველყოს იმ საფრთხის მინიმუმამდე შემცირება, რომელიც შეზღუდული პასუხისმგებლობის ფორმის გამოყენებიდან

²⁷ იქვე. გვ: 248

²⁸ დიმიტრი გეგენავა და სერგი ჯორბენაძე, რედ-ები, *ბესარიონ ზოიძე 60*, (თბილისი: დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტი, 2013წ.), გვ: 146

²⁹ ლ. ჭანტურია, *საწესდებო ავტონომია საკორპორაციო სამართალში*, თინათინ წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის კრებულში: სამართლისა და პოლიტიკური აზროვნების ისტორიის ნარკვევები, წიგნი I, (თბილისი: 2010წ), გვ: 567

მომდინარეობს. ის ვინც პასუხისმგებლობის შეზღუდვის პრივილეგიას სხვისი ინტერესების საზიანოდ გამოიყენებს და საკუთარ ეკონომიკურ რისკებსა და დანაკარგებს სხვას გადააკისრებს, როგორც წესი, პასუხს აგებს ამ ქმედებისათვის. საკორპორაციო სამართლმა უნდა მოგვცეს ამ პასუხისმგებლობის ოპტიმალური სტრუქტურა.

კრედიტორთა დაცვის მიზნით მეწარმეთა შესახებ კანონი ითვალისწინებს: პარტნიორთა გაფართოებულ პასუხისმგებლობას საზოგადოების ვალებისათვის „გამჭოლი პასუხისმგებლობის ფორმით“ და ხელმძღვანელის პასუხისმგებლობას არაკეთილსინდისიერი მართვის გამო.

მეწარმეთა შესახებ კანონის მე-3 მუხლის მე-6 პუნქტი ითვალისწინებს პარტნიორის სოლიდარულ პასუხისმგებლობას, თუ ის ბოროტად გამოიყენებს შეზღუდული პასუხისმგებლობის ფორმას. შეზღუდული პასუხისმგებლობის, როგორც ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის, ბოროტად გამოყენება შეიძლება გამოვლინდეს ფორმის არამიზნობრივ გამოყენებაში, როდესაც საზოგადოების დაფუძნება და გარიგების დადება საზოგადოების სახელით ვინმესთვის ზიანის მიყენების მიზნით ხდება.

შეზღუდული პასუხისმგებლობის ბოროტად გამოყენებას კი ადგილი აქვს მაშინ, როდესაც პარტნიორი ანგარიშს არ უწევს საწარმოს ინტერესებს და ხელყოფს მის ქონებრივ ფონდს.

საწარმოს მიერ დივიდენდის გაცემა მაშინ, როცა არ ხდება კრედიტორების ინტერესების გათვალისწინება, შეიძლება მივიჩნიოთ შეზღუდული პასუხისმგებლობის ბოროტად გამოყენებად, რადგან დივიდენდის გაცემა გულისხმობს საწარმოს ქონების შემცირებას. ქონების განაწილებაზე გადაწყვეტილების მიღებისას მნიშვნელოანია კრედიტორთა ინტერესების გათვალისწინება, რადგან საბოლოო ჯამში საწარმოს რეპუტაციის ერთ-ერთი ფაქტორი მისი გადახდისუნარიანობაა, რაც საბოლოოდ გავლენას ახდენს მის ქონებრივ მდგომარეობაზე.

პასუხისმგებლობის შეზღუდვის ბოროტად გამოყენების ძირითადი წინაპირობებია: 1. პარტნიორის მიერ კომპანიიდან კომპესაციის გარეშე გარკვეული ქონების ამოღება და 2. ამის შედეგად დამდგარი კომპანიის გადახდისუუნარობა.³⁰

მიუხედავად პასუხისმგებლობის შეზღუდვის შეზღუდული ფორმისა, არსებობს რამოდენიმე გზა, რაც შესაძლებლობას იძლევა, მოხდეს მისი გვერდის ავლა. ყველაზე მიღებული წესი ამის მისაღწევად არის მხარეებს შორის შეზღუდული პასუხისმგებლობის თაობაზე ხელშეკრულებით შეთანხმება. ეს ხდება მაშინ, როდესაც კორპორაცია და მისი აქციონერები ხელშეკრულებაში თანხმდებიან კომპანიის მიერ ვალდებულების დარღვევისას პარტნიორების სოლიდარულ პასუხისმგებლობაზე. ეს შეზღუდვა შეუძლიათ გამოიყენონ კრედიტორებმაც. ჩემის აზრით, ამის საშუალება აქვთ მხოლოდ მსხვილ კრედიტორებს, რომელთაც დომინირებული მდგომარეობა უკავიათ ბაზარზე და შეუძლიათ საწარმოს თავს მოახვიონ თავიანთი პირობები.

შეზღუდული პასუხისმგებლობის მეორე შემთხვევაა, როცა თავად კორპორაცია განსაზღვრავს წესდებით, როგორი უნდა იყოს პარტნიორის პასუხისმგებლობის ფარგლები, მასში ცვლილებების შეტანის გზით.

ასევე სახელმწიფოსაც აქვს უფლებამოსილება შეცვალოს ძირითადი წესი შეზღუდული პასუხისმგებლობის შესახებ რაც კორპორაციის მიერ განმტკიცებული წესის ცვლილებას გამოიწვევს³¹.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეზღუდული პასუხისმგებლობა ყოველთვის არ არის პარტნიორის დაცვის საშუალება. როდესაც დება პარტნიორის პასუხისმგებლობის საკითხი, მისი ქმედებიდან, მიზნიდან და მოტივიდან, გამომდინარე ხდება პასუხისმგებლობის ფორმის განსაზღვრა, რომელიც გამომდინარეობს ქვეყანაში მოქმედი კანონმდებლობიდან, რასაც „კორპორაციული საფარველის განჭოლვა“ ეწოდება და გამოიყენება მაშინ, როდესაც საჭიროა აქციონერმა სრულად აგოს პასუხი თავისი ქმედებისათვის.

³⁰ ი. ბურდული, რედ. *საკორპორაციო სამართლის კრებული* (თბილისი: გამ-ბა მერიდიანი, 2011წ) წიგნი I, გვ:37

³¹ იქვე, გვ: 81

2.4. შეზღუდული პარტნიორის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველი

სამეწარმეო საქმიანობის განხორციელების უზრუნველსაყოფად და მეწარმეობისათვის მეტი გარანტიებს შესაქმნელად, ადამიანის, საზოგადოებისა და სახელმწიფოს ინტერესების დასაცავად და მათი ინტერესებიდან გამომდინარე, რათა დაცული იქნას სამოქალაქო ბრუნვის თავისუფლება, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსმა, სამეწარმეო სფეროში, განსაზღვრა ის დანაშაულები, რომლებისთვისაც ხელმძღვანელის ან პარტნიორის მიმართ დგება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა.

2.4.1. უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება

სსკ-ის 220 მუხლით განსაზღვრულია უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება. სამეწარმეო ან სხვა ორგანიზაციაში ხელმძღვანელობითი, წარმომადგენლობითი ან სხვა სპეციალური უფლებამოსილების გამოყენება ამ ორგანიზაციის კანონიერი ინტერესების საწინააღმდეგოდ, თავისთვის ან სხვისთვის გამორჩენის ან აუპირატესობის მიღების მიზნით რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ორ წლამდე ან ტუსალობით ვადით ექვს თვემდე, ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთ წლამდე.

აღნიშნული დანაშაულის დროს ზარალდება სამეწარმეო სუბიექტის როგორც ქონებრივი, ისე სხვა მართლზომიერი ინტერესები ასევე, საფრთხე ექმნება მოქალაქეთა, საზოგადოების ან სახელმწიფოს ინტერესებს.

დანაშაულის ობიექტური მხარე გამოიხატება სამეწარმეო ან სხვა ორგანიზაციაში ხელმძღვანელობითი, წარმომადგენლობითი ან სხვა სპეციალური უფლებამოსილების გამოყენებაში ამ ორგანიზაციის კანონიერი ინტერესის საწინააღმდეგოდ. ეს შესაძლებელია გამოწვეული იყოს მოქმედებითაც და უმოქმედობითაც.

პირი ორგანიზაციის კანონიერი ინტერესის საწინააღმდეგოდ იყენებს თავის უფლებამოსილებას, თუ იგი კეთილსინდისიერად და გონივრულად არ ახორციელებს მასზე დაკისრებულ მოვალეობებს, ორგანიზაციის სახელით დადებულ გარიგებებში ჩქმალავს პირად დაინტერესებას, სახელს უტეხს ორგანიზაციის საქმიან რეპუტაციას და სხვა³².

სამეწარმეო ურთიერთობის სუბიექტები საკუთარი მიზნებიდან გამომდინარე, თვითონ განსაზღვრავენ დაცული ინტერესების წრეს სადამფუძნებლო დოკუმენტებით. ასეთი ტიპის ინფორმაცია შეიძლება იყოს ის კონფიდენციალური მონაცემები, რომლის გახმაურებაც გავლენას მოახდენს საწარმოს კონკურენტუნარიანობაზე ან მნიშვნელოვან ზარალს მოუტანს ორგანიზაციას.

იმის დასადგენად, იყო თუ არა უფლებამოსილება ბოროტად გამოყენებული, საქმის გარემოებებიდან და ორგანიზაციის მიზნებიდან უნდა დადგინდეს.

უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებამ მნიშვნელოვანი ზიანი უნდა გამოიწვიოს, რომ დანაშაული დამთავრებულად ჩაითვალოს. მნიშვნელოვანი ზიანი შეფასებითი კატეგორიაა და იგი სასამართლომ უნდა დაადგინოს საქმის კონკრეტულ გარემოებებზე დაყრდნობით.

უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების ობიექტური მხარე მოიცავს:

1. ქმედებას, რაც გამოიხატება ორგანიზაციაში ხელმძღვანელობითი, წარმომადგენლობითი ან სხვა სპეციალური უფლებამოსილების გამოყენებში ორგანიზაციის კანონიერი ინტერესის საწინააღმდეგოდ.
2. მნიშვნელოვან ზიანს და,
3. მიზეზობრივ კავშირს ქმედებასა და მნიშვნელოვან ზიანს შორის.

დანაშაულის სუბიექტური მხარის მახასიათებელია განზრახა და სპეციალური მიზნით - თავისთვის ან სხვისთვის გამორჩენა.

³² მზია ლეკვეიშვილი, ნონა თოდუა, გოჩა მამულაშვილი, *სისხლის სამართლის კერძო ნაწილი*, (თბილისი: გამ-ბა „მერიდიანი“, 2011), წიგნი I: გვ: 510

დანაშაულის სუბიექტი სპეციალურია. კერძოდ, ეს არის კერძო-სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე პირი, რომელიც აღჭურვილია ხელმძღვანელობითი, წარმომადგენლობითი ან სხვა სპეციალური უფლებამოსილებით.

2.4.2. გულგრილობა

სისხლის სამართლის კოდექსის 220¹ მუხლის მიხედვით განისაზღვრა გულგრილობის ცნება, ესე იგი საწარმოში ან სხვა ორგანიზაციაში ხელმძღვანელობითი, წარმომადგენლობითი ან სხვა სპეციალური უფლებამოსილების მქონე პირის მიერ თავისი სამსახურებრივი მოვალეობის შეუსრულებლობა ან არაჯეროვნად შესრულება, მისდამი დაუდევარი დამოკიდებულების გამო, რომლისთვისაც დგება პასუხისმგებლობა.

სისხლის სამართლის კოდექსის ამ ნორმის მიხედვით, გულგრილობისთვის პასუხისმგებლობის დადგომას კანონი მხოლოდ განსაკუთრებულ შედეგს უკავშირებს. მისი დაცვის ობიექტი არის მხოლოდ სახელმწიფო ინტერესი და ადამიანის სიცოცხლე, ან სხვა მძიმე შედეგი, შესაბამისად, პარტნიორის ან ხელმძღვანელის მიერ თავისი ვალდებულების გულგრილად შესრულება ავტომატურად არ იწვევს სისხლის-სამართლებრივ პასუხისმგებლობას, ასეთ შემთხვევაში პარტნიორს უფლება აქვს მოითხოვოს მხოლოდ მიყენებული ზარალი.

გულგრილი მოქმედება ან უმოქმედობა, რამაც გამოიწვია სახელმწიფოს კანონიერი ინტერესების არსებითი დარღვევა, ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე, ხოლო იგივე ქმედება, რამაც გამოიწვია ადამიანის სიცოცხლის მოსპობა ან სხვა მძიმე შედეგი, – ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან ხუთ წლამდე.

გულგრილობის სუბიექტური მხარე გამოიხატება იმაში, რომ პირი სრულყოფილად არ აცნობიერებს თავის მოქმედებას, რომელიც შეიძლება გამოწვეული იყოს თვითიმედოვნებით ან დაუდევრობით, არ ითვალისწინებს მოსალოდნელ შედეგს, რომლიც უნდა გაეთვალისწინებინა და შესაბამისად, საფრთხეს უქმნის, როგორც საკუთარ, ისე სხვის ინტერესებს.

აღნიშნული დანაშაულის სუბიექტი შეიძლება იყოს მხოლოდ ფიზიკური პირი, რომელსაც ეკისრება მმართველობითი პასუხისმგებლობა.

ვფიქრობ, აღნიშნულმა ცვლილებამ კიდევ უფრო მკვეთრად გაუსვა ხაზი მეწარმეთა შესახებ კანონით გათვალისწინებულ ერთგულების მოვალეობას, განსაზღვრა რა პასუხისმგებლობის ზომა და მისი დაცვის ინტერესი. აღნიშნული მუხლით დაცულია ყველაზე მნიშვნელოვანი ორი სიკეთე სახელმწიფოს ინტერესი და ადამიანი ძირითადი უფლებები სიცოცხლისა და ჯანმრთელობის ხელშეუხებლობის უფლება.

ხელმძღვანელებმა უნდა გაითვალისწინონ აღნიშნული მუხლის პრაქტიკული მნიშვნელობა და მაქსიმალური კონცენტრაციის გზით უნდა იზრუნონ სამეწარმეო სუბიექტის ინტერესების დაცვისა და თავიანთი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის თავიდან აცილებისათვის.

2.4.3. კომერციული მოსყიდვა

სსკ-ის 221-ე მუხლით სამეწარმეო ხასიათის დანაშაულად ითვლება კომერციული მოსყიდვა, რომელიც გულისხმობს ხელმძღვანელისთვის ფულის ან მისი ეკვივალენტების, ასევე სხვა სახის ქონების გადაცემას მომსყიდველის, ან სხვისი ინტერესებიდან გამომდინარე, რათა მან არ შესრულოს თავისი მოვალეობა, ან შეასრულოს არაჯეროვნად.

აღნიშნული დანაშაულის სუბიექტები შეიძლება იყოს ნებისმიერ პირი, როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული, რომელმაც გადასცა, ან მიიღო უკანონო შემოსავალი.

მომსყიდველისათვის კანონით გათვალისწინებულია სასჯელის უფრო მსუბუქი ფორმა, ვიდრე მოსყიდულისათვის. ამ დროს ის პიროვნება, რომელმაც გადასცა გარკვეული თანხა თანამდებობის პირს, ისჯება ჯარიმით, ან თავისუფლების შეზღუდვით ვადით ორ წლამდე, ანდა თავისუფლების აღკვეთით, ვადით სამ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით, ვადით სამ წლამდე ან უამისოდ.

დანაშაულის დამამძიმებელ გარემოებში ჩადენის შემთხვევაში, (ჯგუფურად; არაერთგზის,) პირი ისჯება ჯარიმით, ან თავისუფლების შეზღუდვით ვადით ოთხ წლამდე, ან ტუსალობით, ვადით ორიდან ექვს თვემდე, ანდა თავისუფლების აღკვეთით, ვადით ოთხ წლამდე, თანამდებობისდაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით, სამ წლამდე.

უკანონო შემოსავლის მიღების შემთხვევაში, თანამდებობის პირი ისჯება ჯარიმით, ან თავისუფლების შეზღუდვით, ვადით სამ წლამდე, ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე, თუ ქმედება ჩადენილია: ჯგუფურად, არაერთგზის, ან გამოძალვით, ისჯება ჯარიმით, ან თავისუფლების აღკვეთით, ვადით ხუთ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით, ვადით სამ წლამდე.

სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება, გათვალისწინებულია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას გამოსძალეს ქონება, ან თუ მან ნებაყოფლობით განაცხადა ამის შესახებ სახელისუფლებო ორგანოში.

„კომერციული მოსყიდვა წარმოადგენს დანაშაულს, რომელიც ხელყოფს საბაზრო ეკონომიკის პირობებში სამეწარმეო სუბიექტების საქმიანობის ნორმალურ პირობებს. ნორმალური კომერციული ურთიერთობის პირობები ირღვევა იმ პირთა სასარგებლოდ, რომლებიც უკანონო გასამრჯელოს (ქონებრივ მომსახურებას) იღებენ ან გადასცემენ მას. მოსყიდვის მეშვეობით შეიძლება უკანონო შეღავათიანი კრედიტის მიღება, კომერციული საიდუმლოს გამხელა, და ა.შ.“³³ ამგვარად, განსახილველი დანაშაულის უშუალო ობიექტია სამეწარმეო ურთიერთობათა სფერო.

მოსყიდვის დანაშაული დამთავრებულად ითვლება ფულის, ან მისი ექვივალენტის ფაქტობრივად გადაცემის ანდა ქონებრივი მომსახურების უკანონოდ გაწევის მომენტიდან.

სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენება გულისხმობს როგორც სამართლებრივი, ასევე ფაქტობრივი შესაძლებლობების გამოყენებას, ესე იგი მოიცავს, როგორც მოცემული პირის უფლებამოსილებათა წრეში შემავალ ქმედებებს, ისე, მის გარეთ

³³ იქვე: გვ: 419

არსებულ შესაძლებლობებსაც, რომლებიც ემყარება სამსახურებრივ ავტორიტეტს, ინფორმაციის ხელმისაწვდომობას და ასე შემდეგ.

დანაშაულის სუბიექტური მხარე გამოიხატება პირდაპირ განზრახვაში. დამნაშავეს შეგნებული აქვს, რომ იგი იღებს უკანონო ქონებრივ გასამრჯელოს, ან ქონებრივ მომსახურებას და მას სურს მისი მიღება. მაშასადამე, მოტივი და მიზანი ანგარებითია.

2.4.4. უკანონო სამეწარმეო საქმიანობა

ფიზიკური და იურიდიული პირების სამეწარმეო საქმიანობა ექვემდებარება სავალდებულო სახელმწიფო რეგისტრაციას.

საქართველოს კანონი ლიცენზიების და ნებართვების შესახებ განსაზღვრავს იმ საქმიანობების სახეებს, რომლებისთვისაც აუცილებელია სახელმწიფო ლიცენზია,³⁴ ან ნებართვა³⁵. მასში განსაზღვრულია ლიცენზიით ნებადართული საქმიანობის სახეები და ლიცენზიის გაცემაზე უფლებამოსილი ორგანოები. ისეთი სახის სამეწარმეო საქმიანობის უფლება, რომელზედაც სავალდებულოა ლიცენზია, წარმოიშობა ნებართვის მიღების მომენტიდან და შეწყდება მისი მოქმედების ვადის გასვლის შემდეგ.

სსკ-ს 192-ე მუხლის I ნაწილის I პუნქტის თანახმად დანაშაულად ითვლება სამეწარმეო საქმიანობა რეგისტრაციის, ნებართვის ან ლიცენზიის გარეშე, ანდა სანებართვო, ან სალიცენზიო პირობების დარღვევით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, ან რასაც ახლდა დიდი ოდენობით შემოსავლის მიღება.

მისი სუბიექტი არის ფიზიკური პირი, 16 წლის ასაკიდან, ან იურიდიული პირი. დანაშაულის სუბიექტური მხარე გულისხმობს განზრახვას, რათა მიიღოს არაკანონიერი სარგებელი

³⁴ ლიცენზია – ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული აქტის საფუძველზე პირისათვის კანონით დადგენილი პირობების დაკმაყოფილების საფუძველზე მინიჭებული განსაზღვრული საქმიანობის განხორციელების უფლება

³⁵ ნებართვა – ამ კანონით გათვალისწინებული, განსაზღვრული ან განუსაზღვრელი ვადით ქმედების განხორციელების უფლება, რომელიც უკავშირდება ობიექტს და ადასტურებს ამ განზრახვის კანონით დადგენილ პირობებთან შესაბამისობას. შესაძლებელია ნებართვის გადაცემა სხვა პირისთვის, თუ ეს კანონით არ არის აკრძალული ან ნებართვა არსობრივად არ არის დაკავშირებული მის მფლობელთან;

ფიზიკური პრისათვის პასუხისმგებლობა განისაზღვრება ერთიდან სამ წლამდე ვადით, ხოლო იურიდიული პირისათვის გათავლისწინებულია, ჯარიმა, საქმიანობის უფლების ჩამორთმევა ან ლიკვიდაცია.

იურიდიული პირების სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა სამეწარმეო სუბიექტებისათვის განსაკუთრებული სირთულით ხასიათდება. საქმიანობის უფლების შეჩერებამ შეიძლება იმოძენა ზარალი მიაყენოს საზოგადოებას, რომ აზრი დაუკარგოს სამეწარმეო საქმიანობის განხორციელებას, ლიკვიდაციის შემთხვევაში შესაძლოა კონფისკაციას დაექვემდებაროს საწარმოს მთელი ქონება, რითაც პარტნიორი ან საზოგადოება კარგავს მთელ თავის ქონებას და შემოსავალს, როგორც კანონიერი სამეწარმეო, ისე არაკანონიერი საქმიანობიდან.

განსახილველი დანაშაულის ობიექტია ის ურთიერთობები, რომლებიც აწესრიგებს სამეწარმეო საქმიანობას, აგრეთვე სახელმწიფოს ფინანსური ინტერესები, რადგანაც იგი ვერ ღებულობს მეწარმეთა რეგისტრაციისათვის დადგენილ ბაჟს, ლიცენზიის გაცემისათვის - გადასახადს, ასევე სამეწარმეო საქმიანობისათვის დადგენილ შესაბამის გადასახადებს. უკანონო საბანკო საქმიანობა კი ასევე ზიანს აყენებს საბანკო სისტემის სტაბილურობასა და საიმედობას.³⁶

პასუხისმგებლობის დადგომისათვის სახეზე უნდა იყოს ქმედება, მძიმე შედეგი, რაც გამოიხატება მნიშვნელოვან ზიანში, ან დიდი ოდენობით უკანონო შემოსავლის მიღებაში და მიზეზობრივი კავშირი ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის.

მნიშვნელოვან ზიანი და დიდი ოდენობის შემოსავალი შეფასებითი კატეგორიაა და მას განსაზღვრავს სასამართლო საქმის მასალების საფუძველზე.

დანაშაულის დამამძიმებელი გარემოებებია მისი განხორციელება: ჯგუფურად; არაერთგზის; იგივე ქმედება ჩადენილი იმ პირის მიერ, რომელიც ადრე იყო მსჯავრდებული ასეთი დანაშაულისათვის. როგორც ვხედავთ, აქ სპეციალურ რეციდივთან გვაქვს საქმე და მას კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა ექნება მაშინ, თუ წინა ნასამართლობა კანონით დადგენილი წესით გაქარწყლებული ან მოხსნილი არ იქნება.

³⁶ იქვე: გვ 419

ვფიქრობ, რომ ჯგუფური დანაშაული უმეტესად შეიძლება ახასიათებდეს ფიზიკური პირის მიერ ჩადენილ ქმედებას, რადგან იურიდიული პირებს ახასიათებს მეტ-ნაკლებად მკაცრი კონტროლი სახელმწიფოს მხრიდან, შესაბამისად, პასუხისმგებლობის რისკიც მაღალია ამასთან, იურიდიული პირები მაღალი შემოსავლით ხასიათდებიან და ალბათ საკმაოდ ძნელი იქნება მათი დანაშაულში ჩართვა ან იმ მოტივის პოვნა, რისთვისაც გარისკავენ საფრთხე შეუქმნან თავიანთ საქმიან რეპუტაციას ან ბიზნესს.

2.4.5. ცრუ მეწარმეობა

სსკ-ს 193 მუხლის მიხედვით, დასჯადია ცრუ მეწარმეობა, ესე იგი საწარმოს შექმნა სამეწარმეო საქმიანობის განზრახვის გარეშე, კრედიტის ან სხვაგვარი ქონებრივი სარგებლის მიღების, ანდა აკრძალული საქმიანობის დაფარვის მიზნით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, -ისჯება ჯარიმით, ან თავისუფლების აღკვეთით, ვადით სამ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით, ვადით სამ წლამდე.

აღნიშნული დანაშაულის სუბიექტია საწარმოს პარტნიორი, ან პარტნიორები, რომელთა მიზანი არის მოგების მიღება უკანონო ხერხებით. თანაც, ეს მიზანი უნდა არსებობდეს სამეწარმეო საზოგადოების შექმნის მომენტში. ისინი იყენებენ სამეწარმეო საქმიანობისთვის კანონით დადგენილ სამართლებრივ ფორმას, რათა მიიღონ მნიშვნელოვანი შეღავათები ან დაფარონ აკრძალული საქმიანობა.

საწარმოს დაფუძნებისას დაცულია მისი რეგისტრაციის ყველა პირობა, თუმცა საქმიანობის ნაწილში ის არაკანონიერია, შესაძლებელია გამოყენებული იქნას კანონიერი სამეწარმეო საქმიანობაც, მაგრამ მისგან მიღებული დეკლარირებული შემოსავლის წილი მიზერული იყოს მთლიან შემოსავალში.

აკრძალული საქმიანობის დაფარვა მდგომარეობს სისტემატურად მოჩვენებითი გარიგებების დადებაში, რასაც სულ სხვა შედეგები მოსდევს, ვიდრე ამას სადამფუძნებლო დოკუმენტები ითვალისწინებს.

III თავი. საწარმოსა და მისი ხელმძღვანელის პასუხისმგებლობის საფუძველი

3.1. საწარმოს პასუხისმგებლობა

პასუხისმგებლობა სამეწარმეო სამართლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინსტიტუტია. სამეწარმეო სუბიექტების კლასიფიკაცია სწორედ მისი მოცულობით განისაზღვრება.

სამეწარმო პასუხისმგებლობა განსაკუთრებული სპეციფიკით ხასიათდება კერძოდ, სამეწარმეო კანონმდებლობის დარღვევისათვის მისი გამოყენება რეგულირდება სამეწარმეო სამართლის ნორმებით, ის მხოლოდ ქონებრივი ხასიათისაა და მისი სუბიექტები მხოლოდ სამეწარმეო ურთიერთობის მონაწილეები არიან³⁷.

ამდენად, სამართლებრივ სისტემაში ჩამოყალიბდა შედარებით ახალი მოვლენა სამეწარმეო პასუხისმგებლობა. იგი შეიძლება წარმოიშვას ხელმძღვანელის ან პარტნიორის მიერ კანონის დარღვევის, ხელშეკრულების არაჯეროვანი შესრულების, ან შეუსრულებლობის, ან დელიქტის საფუძველზე.

საზოგადოება კერძო სამართლის სუბიექტია მას თავისუფლად შეუძლია ნებისმიერ პირთან დადოს ხელშეკრულებები და განსაზღვროს ამ ხელშეკრულებათა შინაარსი. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები საზოგადოებამ უნდა შეასრულოს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას, წინააღმდეგ შემთხვევაში მას დაეკისრება პასუხისმგებლობა, ასევე გასათვალისწინებელია საზოგადოების კონტრაქტის სახელშეკრულებო მოვალეობის ხარისხის დონე. საზოგადოებამ უნდა იზრუნოს იმ ზარალის ამოღებაზე, რომელიც მიადგა მას კონტრაქტის მიერ მოვალეობის არაჯეროვანი შესრულების გამო, ამ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში ხელმძღვანელი ვალდებული იქნება თავად აანაზღაუროს მიუღებელი შემოსავალი.

³⁷ ქ. ქოქრაშვილი, *სამეწარმეო სამართალი* (თბილისი: საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, 2007), გვ. 202.

საწარმოს პასუხისმგებლობის საკითხი შეიძლება დადგეს როგორც სახელშეკრულებო, ისე არასახელშეკრულებო ურთიერთობებში - სხვისთვის ქონებრივი ზიანის მიყენების დროს.

სამეწარმეო პასუხისმგებლობა იყოფა საგარეო და საშინაო პასუხისმგებლობად. პირველი ნიშნავს, რომ საწარმო როგორც სამეწარმეო ურთიერთობის სუბიექტი, პასუხს აგებს კრედიტორების და მესამე პირების წინაშე. საწარმოს შიგნით პასუხისმგებლობა გულისხმობს პარტნიორთა და საზოგადოების ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობას მათზე კანონით და წესდებით დაკისრებული მოვალეობის შეუსრულებლობისათვის, საწარმოს წინაშე.

კაპიტალისტური ტიპის საწარმოების დამახასიათებელია შეზღუდული პასუხისმგებლობა, ანუ საზოგადოება მთელი მისი ქონებით აგებს პასუხს, ხოლო პარტნიორი არ არის პასუხისმგებელი საზოგადოების ვალებზე. საზოგადოება პასუხისმგებელია მისი მართველი ორგანოების ქმედებებისათვის.

თუ საზოგადოების, ან პარტნიორის მიერ წარმოიშვა ზიანი, მაშინ დაზარალებულს უფლება აქვს პრეტენზიით მიმართოს მართველი ორგანოს წევრებს. ასეთი შემთხვევა შესაძლებელია მაშინ, როცა საზოგადოების ქონება არ არის საკმარისი დაზარალებულების დასაკმაყოფილებლად.³⁸

საწარმოს პასუხისმგებლობა უზრუნველყოფილია მისი ქონებით, რომელიც მოიცავს, როგორც საწესდებო კაპიტალს, ისე სხვა სახის ქონებას, რათა ამ ქონებით უზრუნვეყოფილი იქნას მისი ძირითადი ფუნქციის შესრულება და სამოქალაქო ბრუნვაში მონაწილეობა.

საწარმოს სახელმწიფოს წინაშე საგადასახადო მოთხოვნების დარღვევის შემთხვევაშიც ეკისრება პასუხისმგებლობა. ის ვალდებულია, სრულად და დროულად გადაიხადოს საგადასახადო კოდექსით დადგენილი ვალდებულებები. საგადასახადო სამართალდარღვევათა შორის ყველაზე გავრცელებულია მეწარმე სუბიექტების მიერ გადასახადებისგან თავის არიდება. გადასახადის გადამხდელი ან სხვა ვალდებული

³⁸ იქვე: გვ: 211

პირი პასუხს აგებს საგადასახადო ვალდებულების შეუსრულებლობისათვის³⁹, რისთვისაც დადგებლია შესაბამისი პასუხისმგებლობის ზომები.

ამავე კოდექსით ასევე, დადგენილია მეწარმე სუბიექტის პასუხისმგებლობისგან გათავისუფლება, თუ ის კანონით დადგენილ ვადაში და ფორმით გამოასწორებს თავის შეცდომას, საგადასახადო შემოწმების ჩატარებამდე.

იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას ითვალისწინებს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი. განსაკუთრებით მსხვილ კორპორაციებში, ხშირად შეუძლებელია დანაშაულის სათავეში მდგომი ინდივიდის გამორჩევა, მაგრამ ასეთი საწარმოები იმდენად მნიშვნელოვან ზიანს იწვევენ, რომ აუცილებელია მათი პასუხისმგებლობის საკითხის დაყენება.

იურიდიულ პირს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ეკისრება იმ შემთხვევაში, თუ დანაშაული ჩადენილია მის მიერ, მისი სახელით, ან მის სასარგებლოდ, რაც ასევე არ გამორიცხავს ფიზიკური პირის პასუხისმგებლობასაც. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა არ ათავისუფლებს მას ზიანის ანაზღაურების ვალდებულებისაგან.

სისხლის სამართლის კოდექსის 107³ მუხლის თანახმად პასუხისმგებლობისთვის გამოიყენება სასჯელის შემდეგი სახეები: ლიკვიდაცია, საქმიანობის უფლების ჩამორთმევა, ჯარიმა და ქონების ჩამორთმევა. სასჯელის ზომა დამოკიდებულია პირის მიერ ჩადენილი ქმედებისა და შედეგის ხარისხზე.

თუმცა აღსანიშნავია რომ იურიდიული პირის პასუხისმგებლობა, ირიბი ფორმით ყოველთვის იწვევს ფიზიკური პირის პასუხისმგებლობას, რადგან საზოგადოების ქონება საბოლოოდ მაინც პარტნიორების საკუთრებად იქცევა, თუ ის წყვეტს საქმიანობას, მაგრამ ქონების კონფისკაციის შემთხვევაში, ცხადია პარტნიორი კარგავს მისაღებ ქონებას.

გარდა საგადასახადო და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისა, საწარმო ვალდებულია უზრუნველყოს სამეწარმეო საქმიანობასთან დაკავშირებული სხვადა-

³⁹ საქართველოს კანონი „საგადასახადო კოდექსი“, საქართველოს პარლამენტი- 17/09/2010, № 3591, მუხლი 269. 3

სხვა ინსტრუქციების და მითითებების შესრულება, რომელიც აუცილებელია სამოქალაქო ინტერესების და უსაფრთხოების წესების დაცვიდან გამომდინარე.

3.2. ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა

3.2.1. ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობის თავისებურებები

კაპიტალური საზოგადოების თავისებურებას წარმოადგენს ის რომ საზოგადოების ქონება სამართავად გადაცემული აქვთ ხელმძღვანელებს. პარტნიორები მოკლებული არიან შესაძლებლობას ყოველდღიურად აკონტროლონ საზოგადოების საქმიანობა. ამ დროს ხელმძღვანელებს აქვთ საშუალება განკარგონ ის საკუთარი შეხედულებიდან გამომდინარე.

მეწარმეთა შესახებ კანონი პარტნიორებს ხელმძღვანელის დანიშვნის სრულს თავისუფლებას ანიჭებს, ხელმძღვანელი შეიძლება იყოს ნებისმიერი პირი, მათ შორის პარტნიორიც, რომელიც ინიშნება მმართველობით ორგანოებში, დირექტორად ან სამეთვალყურეო საბჭოს წევრად. კანონმდებლობით გათვალისწინებულია ხელმძღვანელის პასუხისმგებლობის შემთხვევები.

ვინაიდან, პარტნიორი შეიძლება მოგვევლინოს ხელმძღვანელის როლში მნიშვნელოვანია გავანალიზოთ მისი, როგორც ხელმძღვანელის პასუხისმგებლობის თავისებურებები.

სამეწარმეო საქმიანობა, ქვეყნის ეკონომიკური მდოგომარეობიდან გამომდინარე, ყოველთვის არის საფრთხის შემცველი. არსებობს რისკი, რომ ხელმძღვანელის გადაწყვეტილება ყოველთვის ვერ მოიტანს სასურველ სარგებელს. როცა ხელმძღვანელს სამართავად გადაცემული აქვს სხვისი ქონება (პარტნიორის შემთხვევაში თავის ქონებასთან ერთად), ქონების დაკარგვის საფრთხე ემუქრება სხვას ამიტომ, ხელმძღვანელის დანიშნულების ინსტიტუტის ერთ-ერთი მთავარი დანიშნულება საზოგადოების ქონების დაცვაა. ამავე დროს, მათ გარანტირებული უნდა ქონდეს სამეწარმეო საქმიანობის თავისუფლება.

ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობის ინსტიტუტი, სწორედ ამ ორი ურთიერთდამოკიდებული ასპექტის გათვალისწინებით უნდა იქნეს გაანალიზებული.

თანამედროვე საკორპორაციო სამართალში აღიარებულია, რომ დაუშვებელია ხელმძღვანელის პასუხისმგებლობა სამეწარმეო წარუმატებლობისათვის. პასუხისმგებლობა დგება მაშინ, როცა მან ვერ შეასრულა დაკისრებული მოვალეობები და რამაც გამოიწვია ზიანი.

კორპორაციის ხელმძღვანელები პასუხისმგებელი არიან საზოგადოების და არა საზოგადოების პარტნიორების წინაშე.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების მართვის ორგანოებია საერთო კრება და დირექტორები. შპს-ში შეიძლება ასევე შეიქმნას სამეთვალყურეო საბჭოც, მაგრამ მისი არსებობა მთლიანად პარტნიორების ნებაზეა დამოკიდებული. დირექტორის დანიშვნა და გაწვევა, ან მასთან სასამსახურო ხელშეკრულების დადება და შეწყვეტა შედის პარტნიორთა კრების კომპეტენციაში.

ამრიგად, ქართულ საკორპორაციო სამართალში კორპორაციული პასუხისმგებლობის სუბიექტებად მიიჩნევიან დირექტორები და სამეთვალყურეო საბჭოს წევრები.⁴⁰

სს-ისათვის დამახასიათებელია ორი სავალდებულო ორგანოს არსებობა: სამეთვალყურეო საბჭო და დირექტორები, რომლის არსებობაც დამოკიდებული არ არის აქციონერთა ნებაზე.

სამეთვალყურეო საბჭოს ერთ ერთი ფუნქციაა დირექტორების დანიშვნა და გამოწვევა და ისეთ საკითხებზე გადაწყვეტილების მიღება, რომელიც არ შედის არც დირექტორის და არც აქციონერთა კრების ფუნქციებში.

თუმცა დირექტორატი საკუთარი პასუხისმგებლობით ახორციელებს ხელმძღვანელობით საქმიანობს და საერთო კრების ან სამეთვალყურეო საბჭოს მითითებები მისთვის სავალდებულო არ არის.

კანონის შესაბამისად, შესაძლებელია, რომ შპს-სა და სს-ს ერთი ან რამდენიმე დირექტორი ჰყავდეთ, ამასთან დაუშვებელია სამეწარმეო საქმიანობის რეგისტრაცია

⁴⁰ ლ. ჭანტურია, *კორპორაციული მართვა და ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა საკორპორაციო სამართალში*, (თბილისი: გან-ბა სამართლი, 2006წ), გვ. 171-172

დირექტორების გარეშე. მათი ხელმძღვანელი ორგანოების მსგავსების მიუხედავად, კანონმდებელი შპს-ს პარტნიორთა კრებას, სს-გან განსხვავებით უმაღლეს ორგანოდ ასახელებს.

სპეციფიკურობით ხასიათდება პარტნიორებსა და დირექტორებს შორის ურთიერთობა, როცა პარტნიორი გვევლინება, როგორც საწარმოს დირექტორი. ამ დროს დირექტორისათვის ანგარისშგასაწევია მხოლოდ პარტნიორის მითითებები, რომელიც პარტნიორთა კრების გადაწყვეტილებას უთანაბრდება, გარდა არასწორი გადაწყვეტილებისა, რომლის შესრულებისათვის დირექტორი პასუხისმგებლობისგან არ თავისუფლდება. სააქციო საზოგადოების შემთხვევაში 75%-ზე მეტი ხმის უფლების მქონე აქციონერის გადაწყვეტილება უთანაბრდება პარტნიორთა კრებას და მასზეც ანალოგიური წესი მოქმედებს. თუკი საწარმოს ერთადერთი პარტნიორი ჰყავს, ამ შემთხვევაში საჭირო არ არის სამსახურებრივი ხელშეკრულების დადება და ის თავის უფლებამოსილებას განახორციელებს წესდებისა და კანონის საფუძველზე.⁴¹

3.2.2. დირექტორის სამსახურებრივი ურთიერთობა საზოგადოებასთან

დირექტორთან სამსახურებრივი ურთიერთობების საკითხების რეგულირება დამოკიდებულია კანონის ზოგად ნორმებზე, რაც ვერ უზრუნველყოფს მათ სრულყოფილად მოწესრიგებას სამართლებრივი თვალსაზრისით. სასამსახურო ხელშეკრულების არასებობისა და წესდებით დატალური მოწესრიგების არასებობის პირობებში, თუკი დადგება რომელიმე კონკრეტული საკითხის მოწესრიგების პრობლემა, რთულია განისაზღვროს სათანადო კანონი და ნორმასთან შესაბამისობა.

მაგალითად კანონით არ არის მოწესრიგებული დირექტორის მოთხოვნები: შვებულების მიცემის წესი, მივლინების საკითხი, დასვენების დრო, შრომითი ურთიერთობის შეჩერება, სამსახურიდან გათავისუფლება და სხვა. ⁴²

⁴¹ თინათინ წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი, *თანამედროვე საკორპორაციო სამართლის თეორიული და პრაქტიკული საკითხები*, (თბილისი: გამ-ბა მერიდიანი, 2009წ), გვ: 340

⁴² იქვე: გვ 322-323

დირექტორებს თავიანთი უფლებამოსილების განსახორციელებლად არაერთი გადაწყვეტილების მიღება უწევთ, რომლებმაც შეიძლება ერთობლიობაში მნიშვნელოვანი ზიანი მოუტანოს დაწესებულებას და დადგეს მისი გათავისუფლების საკითხი. შედეგად, რთულია დასაბუთებული იქნას თუ რომელმა გარემოებამ გამოიწვია დირექტორის გათავისუფლების საჭიროება ამიტომ, მნიშვნელოვანია, დირექტორთან დადებული იქნას ხელშეკრულება სამსახურში დანიშვნის დროს და მასში დეტალურად იქნას გაწერილი მისი უფლება-მოვალეობები და გათავისუფლების საფუძვლები.

3.2.3. ხელმძღვანელთა სამეწარმეო ხასიათის ვალდებულებები

შპს-ეს დირექტორები ვალდებული არიან შეასრულონ პარტნიორთა კრების მითითებები, რომელიც იღებს გადაწყვეტილებას სამეწარმეო საქმიანობის ყველა მნიშვნელოვან საკითხზე, დირექტორს მხოლოდ საწამოს მართვის უფლებამოსილება აქვს მინიჭებული დირექტორების გამოწვევა, როგორც შპს-ს ისე სააქციო საზოგადოებიდან მხოლოდ მნიშვნელოვანი საფუძვლით არის შესაძლებელი.

მნიშვნელოვანია განვიხილოთ ის ვალდებულებები რომლებიც იწვევს დირექტორის პასუხისმგებლობას:

„მეწარმეთა შესახებ“ კანონის თანახმად მე-9 მუხლის I პუნქტის თანახმად, შპს-ს და სს-ის დირექტორებს უფლება არა აქვთ პარტნიორების თანხმობის გარეშე მისდიონ იმავე სახის საქმიანობას რასაც მისდევს საზოგადოება, ან იყონ ანალოგიური ტიპის საზოგადოების პასუხისმგებელი პარტნიორი ან დირექტორი, თუმცა მათ უფლება აქვთ მისდიონ სხვა სახის საქმიანობას. კონკურენციის აკრძალვა კანონის ნორმის საფუძველზე, მიზნად ისახავს დაიცვას საზოგადოება, რადგან დირექტორს აქვს

შესაძლებლობა, ხელმძღვანელობით მოპოვებული ინფორმაცია საზოგადოების საწინააღმდეგოდ გამოიყენოს თავისი ინტერესებიდან გამომდინარე.⁴³

კონკურენციის აკრძალვას არ ექვემდებარება საზოგადოების დირექტორების მუშაობა შვილობილ საზოგადოებაში ან ფილიალში.

კონკურენციის წესების დარღვევისას მეწარმეთა შესახებ კანონის მე-9 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, დამრღვევი ვალდებულია დათმოს ამ საზოგადოებიდან გასამრჯელოს მიღების მოთხოვნის უფლება და ანაზღაუროს ზიანი. ამ პირების მიერ საზოგადოებისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება აქვს სააქციო საზოგადოებაში აქციათა 5%-ის მფლობელ აქციონერს ან აქციონერთა ჯგუფს, ხოლო ყველა დანარჩენ საზოგადოებაში – თითოეულ პარტნიორს.

ხელმძღვანელი ორგანოები პასუხს აგებენ ასევე კეთილსინდისიერი ხელმძღვანელობის მოვალეობის დარღვევისას. კერძოდ, „დირექტორები და სამეთვალყურეო საბჭოს წევრები ვალდებული არიან ზრუნავდნენ ისე, როგორც ზრუნავს ანალოგიურ თანამდებობაზე და ანალოგიურ პირობებში მყოფი ჩვეულებრივი, საღად მოაზროვნე პირი, და მოქმედებდნენ იმ რწმენით, რომ მათი ეს მოქმედება ყველაზე ხელსაყრელია საზოგადოებისათვის“.⁴⁴ აღნიშნული პასუხისმგებლობის დარღვევისას მათ ეკისრებათ სოლიდარული პასუხისმგებლობა, ზიანის ანაზღაურების დროს.

დირექტორები ასევე ვალდებული არიან იზრუნონ საზოგადოების ქონების, როგორც შევსებაზე (აიძულონ პარტნიორები შეიტანონ საწესდებო კაპიტალში შესატანი), ისე შენარჩუნებაზე. საქართველოს უზენაესმა სასამართლომ ერთ-ერთი გადაწყვეტილებით განმარტა, რომ საზოგადოებიდან პარტნიორის გარიცხვა შენატანის შეუტანლობის საბაზით წყდება საზოგადოების ხელმძღვანელის მიერ და ამ დროს საზოგადოების კრების მოწვევა აუცილებელი არ არის.⁴⁵

⁴³ ავტორთა კოლექტივი, *კეთილსინდისიერი ხელმძღვანელობის ვალდებულება და პასუხისმგებლობა სააქციო საზოგადოებაში ქართული და გერმანული სამართლის მიხედვით, სიმპოზიუმის მასალები, II გერმანულ-ქართული სიმპოზიუმი 2003* (თბილისი: 2003წ), გვ: 133

⁴⁴ საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ“, საქართველოს პარლამენტი- 28/10/1994, № 577, მუხლი 9,6

⁴⁵ საქართველოს უზენაესი სასამართლო, *გადაწყვეტილებები სამოქალაქო საქმეებზე*, 2001წ №3, <http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/samoq2001-3-uni.pdf>, 19.06.2014წ, გვ 244-250.

დირექტორების ვალდებულებას წარმოადგენს სწორი ბუღალტრული აღრიცხვის უზრუნველყოფა და საბუღალტრო დოკუმენტაციის შენახვა კანონით დადგენილი წესით.

საზოგადოების დაფუძნებისას დამფუძნებელი პარტნიორები წესდებით განსაზღვრავენ საქმიანობის მიზანს, იმას თუ რას უნდა ემსახურობოდეს საზოგადოება. დირექტორების უპირველესი მოვალეობაა, მთელი ძალისხმევა მოახმარონ საზოგადოების მიზნის მიღწევას. დირექტორი ვალდებულია, იმოქმედოს თავისი უფლებამოსილების ფარგლებში და სამეთვალყურეო საბჭოს გარეშე არ განახორციელოს საქმიანობა, რომელიც მოითხოვს მის თანხმობას.

დირექტორის უმნიშვნელოვანეს მოვალეობას შეადგენს წლიური ანგარიშების შედგენა და მომავალი სამეურნეო წლის პოლიტიკის განსაზღვრა. დირექტორი ვალდებულია სამეთვალყურეო საბჭოს მიაწოდოს ინფორმაცია მომავალი სამეურნეო წლის პოლიტიკის შესახებ. ინფორმაცია უნდა იყოს სარწმუნო, საიმედო და ობიექტური. ამ მოვალეობის შეუსრულებლობა დირექტორისაგან ზიანის ანაზღაურების საფუძველიც შეიძლება გახდეს.⁴⁶

დირექტორის სხვა ორგანიზაციული მოვალეობები უკვაშირდებიან მართველობით ფუნქციებს, რომლებიც ყოველდღიური საქმიანობიდან მომდინარეობენ და რომლის დარღვევაც შეიძლება გახდეს არა მარტო მისი, არამედ საზოგადოების და პარტნიორის პასუხისმგებლობის საფუძველი.

⁴⁶ ავტორთა კოლექტივი, *კეთილსინდისიერი ხემძღვანელობის ვალდებულება და პასუხისმგებლობა სააქციო საზოგადოებაში ქართული და გერმანული სამართლის მიხედვით, სიმპოზიუმის მასალები, II გერმანულ-ქართული სიმპოზიუმი 2003* (თბილისი: 2003წ), გვ:239

3.2.4. მტკიცების ტვირთის განაწილება საზოგადოებასა და ხელმძღვანელებს შორის დავის დროს

განსხვავებულად რეგულირდება მტკიცების ტვირთის საკითხი კორპორაციულ სამართალში⁴⁷. ხელმძღვანელის წინააღმდეგ მიმართული დავის დროს მტკიცების ტვირთი ეკისრება სააქციო საზოგადოების გამგეობის, სამეთვალყურეო საბჭოს და შპს-ში დირექტორებს. ამ პრინციპს მტკიცების ტვირთის შებრუნება ქვია. აღნიშნული წესი დამკვიდრებულია გერმანიის საკორპორაციო სამართალში, რაც ქართულმა სამართალმაც დაამკვიდრა.

გერმანულ სამართალში ამას საფუძვლად უდევს ის მოსაზრება, რომ ვინაიდან საზოგადოების მთელი დოკუმენტაცია, საქმიანობის დეტალები და სხვა ფაქტები ფაქტიურად ხელმძღვანელობის ხელშია, ამიტომ გამგეობის და სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს უკეთესად მიუწვდებათ ხელი საჭირო საბუთებზე, რისი მეშვეობით მათ უნდა დაამტკიცონ საკუთარი არაბრალეულობა.

რაც შეეხება ზიანს, ზიანის მიყენების ფაქტის დადგენა და მისი მტკიცების მოვალეობა საზოგადოებას ეკისრება.

ასევე საზოგადოებას ეკისრება იმის მტკიცების ტვირთი, რომ ზიანის გამომწვევი მიზეზი იყო გამგეობის ან სამეთვალყურეო საბჭოს წევრის ქმედება, მაგრამ თუ გამგეობის წევრი ამტკიცებს, რომ ზიანი მისის ქმედების გარეშეც დადგებოდა, მაშინ მან ეს უნდა დაამტკიცოს.

ამრიგად, ზიანის დადგომის ფაქტი, გამგეობისა თუ სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა ქმედების ჩადენა, ამ ქმედებასა და დამდგარ ზიანს შორის მიზეზობრივი კავშირის არსებობა უნდა დაამტკიცოს საზოგადოებამ, ხოლო ბრალისა და მოვალეობის დარღვევის არარსებობა საზოგადოების წევრებმა.

⁴⁷ ლ. ჭანტურია, *კორპორაციული მართვა და ხელმძღვანელთა საუბისმგებლობა საკორპორაციო სამართალში*, (თბილისი: გან-ბა სამართალი, 2006წ), გვ: 456

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ცხადია რომ ხელმძღვანელის ვალდებულებები საკმაოდ რთული და მრავალფეროვანია, რაც ამასთანავე პასუხისმგებლობის მაღალი ხარისხით ხასიათდება.

იმისთვის, რომ პარტნიორებმა თავიდან აიცილონ საზოგადოების ხელმძღვანელობიდან წარმოშობული ვალდებულებებისთვის პასუხისმგებლობა, მნიშვნელოვანია ხელმძღვანელებთან დაიდოს ხელშეკრულება, რომელშიც დეტალურად უნდა განისაზღვროს მათი უფლება-მოვალეობები, პასუხისმგებლობის ზომები ვალდებულების დარღვევის დროს და განთვითსუფლების საფუძვლები.

მეორე გზა ამის მისაღწევად არის მმართველობითი ფუნქციების დეცენტალიზება, რაც იძლევა საშუალებას ერთმანეთისგან გაიმიჯნოს ხელმძღვანელი, პარტნიორი და მათი პასუხისმგებლობის საფუძვლები, მაგრამ ამასთანავე, პარტნიორებმა უნდა იზრუნონ ხელმძღვანელად დანიშნონ მაღალკვალიფიციური კადრები, რომლის მოძიებაც მართალია საკმაოდ რთულია და მათი ანაზღაურებაც საკმაოდ მაღალი, მაგრამ უმჯობესია პარტნიორმა დააზღვიოს როგორც საკუთარი ისე ბიზნეს სუბიექტების რისკი, ხელმძღვანელის არარელევანტური გადაწყვეტილების შედეგებისაგან.

IV თავი. სასამართლო პრაქტიკის მიმოხილვა

1. სამეწარმეო დავები - საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის გადაწყვეტილებების მიხედვით.

შეზღუდული პარტნიორი სამეწარმეო კანონმდებლობით პასუხს აგებს შენატანის ფარგლებით, მაგრამ მან შეიძლება პასუხი აგოს საზოგადოებიდან გარიცხვის ფორმით.

პარტნიორის მიზანია, მისი წილის საშუალებით კაპიტალის გრძელვადიანი დაბანდება. პარტნიორის გარიცხვა სამეწარმეო სუბიექტიდან მისთვის არასასურველ შედეგად მიიჩნევა, რადგან წარმატებული და მომგებიანი საწარმოდან პარტნიოს არ აქვს სურვილი გამოიტანოს წილი და დაკარგოს შემოსავლი, ამდენად მნიშვნელოვანია განვიხილოთ სასამართლო პრაქტიკა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატამ განიხილა 2007 წლის 24 ივლისის საქმე # ას--390-741-07.⁴⁸

შპს „ჯორჯიან ეარვეისმა, შპს „ჯორჯიან ეარ სერვისმა“ და ე. გაიაშვილმა სასარჩელო განცხადებით მიმართეს სასამართლოს და ითხოვეს შპს „ვორლდ ინტერნეიშენელსა“ და შპს „ჯორჯიან ეარვეისს“ შორის 2005წ. 28 აპრილს დადებული სესხის ხელშეკრულების, (რომლის მიზანი იყო პარტნიორთა წილების გამოსყიდვა) ბათილად ცნობა, ხელშეკრულების არაჯეროვანი შესრულებით გამოწვეული ზიანის ანაზღურება და შპს „ვორლდ ინტერნეიშენელის“ გარიცხვა შპს „ჯორჯიან ეარვეისის“ რიგებიდან.

მოსარჩელეთა განმარტებით, შპს „ჯორჯიან ეარვეისი“ წარმოადგენდა ყველაზე წარმატებულ ავიაკომპანიას, რომელსაც ჰყავდა 4 დამფუძნებელი – ე. გაიაშვილი 51%-იანი წილით, შპს „ეარ ჯორჯია“ - 37,5%-იანი, შპს „ვორლდ ინტერნეიშენალი“ 11,35%-იანი და შპს „ჯორჯიან ეარ სერვისი“ - 10,15%-იანი წილით.

⁴⁸ საქართველოს უზენაესი სასამართლო, გადაწყვეტილებები სამოქალაქო სამართლის საქმეებზე, <http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/samoq2007-10-uni.pdf>, 18.06.2014წ, გვ: 16-21

მოსარჩელეთა განმარტებით, მოპასუხემ შეიძინა შპს „ ეარ ჯორჯიას“ წილი 37,5%. წილის დაფარვა მოხდა შპს „ჯორჯიან ეარ ვეისის“ მიერ კრედიტის მოზიდვის გზით. ვინაიდან, შპს „ვორლდ ინტერნეიშენელი“ განიხილებოდა როგორც „ჯორჯიან ეარვეისის“ მომავალი 100%-იანი წილის ერთადერთ პარტნიორად, გადაწყვეტილების მიღება ხდებოდა ასევე კომპანიის ვიცე-პრეზიდენტის ინტერესების გათვალისწინებით.

2005წ. 28 აპრილს დაიდო საკრედიტო ხელშეკრულება 1 000 0000 აშშ დოლარზე, რომელიც გაიცემოდა ტრანშებად, შესაბამისად 2005წ. 28 აპრილს შპს „ჯორჯიან ეარვეისზე“ გაიცა 4 900 000 აშშ დოლარი.

მითითებული კრედიტი გადასესხდა მოსარჩელებზე, გაზრდილი საპროცენტო განაკვეთით.

მოსარჩელეთა მითითებით, სესხის ხელშეკრულებით შპს „ჯორჯიან ეარვეისი“ ვალდებული იყო ბანკისათვის ყოველთვიურად დაებრუნებინა 162 598 აშშ დოლარი. ასეთი თანხის გადახდას კი საბრუნავი საშუალებები მინიმუმამდე დაჰყავდა, რასაც თან მოსდევდა სხვა პირებთან დადებული ხელშეკრულებების არაჯეროვანი შესრულება, რაც ლახავდა ავიაკომპანიის რეპუტაციას. მოსარჩელეთა აზრით, მოპასუხის ქმედებები, რამაც ზიანი მიაყენა ავიაკომპანიას, გახდა უნდობლობის საფუძველი, რის გამოც იგი გაირიცხა საზოგადოებიდან პარტნიორთა კრების გადაწყვეტილების საფუძველზე.

მოსარჩელებმა მოითხოვეს სკ-ის 55-ე მუხლის თანახმად,სესხის ხელშეკრულების ბათილად ცნობა, რადგან მოპასუხემ ბოროტად ისარგებლა ავიაკომპანიისა და პარტნიორების ნდობით და ზიანი მიაყენა მათ. მოსარჩელების მითითებით, მოპასუხე ვალდებულია, სკ-ის 976-ე მუხლის თანახმად, დაუბრუნოს სესხით მიღებული თანხა ჯორჯიან „ერვეისს“, აგრეთვე, მან უნდა აანაზღაუროს მიყენებული ზიანი.

მოპასუხის განმარტებით, „ჯორჯიან ეარვეისის“ წილის შეუსყიდაობა გამოწვეულია თვით პარტნიორთა მხრიდან და არ არსებობს რაიმე მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა მოპასუხის უარს სხვა პირთა წილების შეძენაზე.

რაც შეეხება ნდობის ბოროტად გამოყენებას, მოპასუხეთა აზრით, ასეთ გარემოება არ არსებობდა, რადგან ზ. ფერიშვილმა თვითონ იკისრა თავდებობა საკრედიტო ხელშეკრულებაზე. ასევე მანვე, გააფორმა თავისი წილის გირავნობის ხელშეკრულება

ამიტომ, ხელშეკრულების დადებით ზიანის მიყენების ფაქტს ადგილი არ ჰქონია. ასევე მოპასუხემ გაასაჩივრა პარტნიორთა კრების გადაწყვეტილება, მასში არაუფლებამოსილი პირის მონაწილეობის მოტივით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით სესხის ხელშეკრულება ბათილად იქნა ცნობილი და მოსარჩელეთა მოთხოვნა სკ-ის 408-ე, 411-ე და 976-ე მუხლების საფუძველზე გადაცემული თანხის დაბრუნების და ზიანის ფაქტობრივი საფუძვლების არსებობის შესახებ დადგენილად, ხოლო მოსარჩელის მიერ მითითებული თანხის ოდენობა დაუსაბუთებლად, რის გამოც ამ ნაწილში მიიღო წინასწარი (შუალედური) გადაწყვეტილება. სასამართლომ ასევე დაადგინა ფაქტობრივი გარემოებების არსებობა შპს „ვორლდ ინტერნეიშენალის“ გასარიცხად და ამ ნაწილშიც მიღებულ იქნა წინასწარი გადაწყვეტილება.

გადაწყვეტილება გასაჩივრდა სააპელაციო სასამართლოში, რომელმაც მიიჩნია, რომ რადგან შპს ვორლდ „ინტერნეშენალს“ ყველაზე მცირე წილი ჰქონდა კომპანიაში, მას არავითარი გავლენა ავიაკომპანიაზე არ გააჩნდა და, შესაბამისად, მის ბოროტად გამოყენებას ვერ შეძლებდა. ასევე, „მეწარმეთა შესახებ“ 3.5 მუხლი ითვალისწინებს პარტნიორის საზოგადოებიდან გარიცხვის ერთადერთ საფუძველს – შესატანის შეტანის ვადის გადაცილებას ამიტომ, შპს „ვორლდ ინტერნეიშენელი“ არ შეიძლება გაირიცხოს საზოგადოებიდან.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება შპს „ჯორჯიან ეარვეისმა“ საკასაციო წესით გაასაჩივრა სასამართლოში.

საჩივარი არ დაკმაყოფილდა, რადგან სასამართლომ მიიჩნია: რომ შპს „ჯორჯიან ეარვეისმა“ განახორციელა ყველა მოქმედება იმისათვის, რომ შპს „ვორლდ ინტერნეიშენალს“ საზოგადოების წილები შეეძინა. შპს „ჯორჯიან ეარვეისის“ მიერ ბანკიდან კრედიტის გამოტანა ჩაითვლებოდა საზოგადოების ჩვეულებრივ, ნორმალურ საქმიანობად თუ კრედიტი გამოყენებული იქნებოდა თვით საზოგადოების სხვა პარტნიორების ინტერესებისათვის იმ სახით, რომ დანარჩენები შეიძენდნენ გასხვისებულ წილს. საზოგადოებამ კი კრედიტი ბანკიდან გამოიტანა სხვა პირის - შპს „ვორლდ ინტერნეიშენალისათვის“.

მხარეთა შორის განსაკუთრებულ ნდობაზე მეტყველებს ის გარემოებაც, რომ ბანკთან დადებულ ხელშეკრულებას ავიაკომპანიის სახელით ხელს აწერს თვითონ ზ. ფერიშვილი, რომელიც იმავდროულად შპს „ვორლდ ინტერნეიშენალის“ ერთადერთი პარტნიორი და დირექტორია.

სკ-ის 55-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად ბათილია გარიგება, რომელიც დადებულია ერთი მხარის მიერ მეორეზე გავლენის ბოროტად გამოყენებით, როცა ურთიერთობა დაფუძნებულია განსაკუთრებულ ნდობაზე. განსახილველ შემთხვევაში გარიგების მხარეებს წარმოადგენენ იურიდიული პირები და ბუნებრივია, როდესაც ამ პირთა ნდობაზეა საუბარი, იგულისხმება საზოგადოების პარტნიორთა და დირექტორთა შორის არსებული ურთიერთობები, რაც შეეხება გავლენის ბოროტად გამოყენებას, პალატა თვლის, რომ მას ადგილი ჰქონდა გარიგების დადების დროს.

სკ-ის 976-ე მუხლის თანახმად, პირს, რომელმაც სხვას ვალდებულების შესასრულებლად რაიმე გადასცა, შეუძლია მოსთხოვოს ვითომ კრედიტორს მისი უკან დაბრუნება. ვინაიდან მოსარჩელე ითხოვს მხოლოდ 4239 284 აშშ დოლარის დაბრუნებას, სასამართლო მიზანშეწონილად მიიჩნევს ამ მოთხოვნის დაკმაყოფილებას.

საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს სააპელაციო პალატის მოსაზრებას იმის თაობაზეც, რომ საზოგადოების პარტნიორის გარიცხვის ერთადერთი სფუძველი შესატანის დროულად შეუტანლობაა. „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 47.3-ე მუხლი (მოქმ. კანონმდებლობით სკ -ის 9¹-ე მუხ. 6-ე პუნქტის "ბ" ქვეპუნქტი) ითვალისწინებს პარტნიორთა კრების უფლებამოსილებას, მიიღოს გადაწყვეტილება იმ დამატებითი უფლებების გამოყენების თაობაზე, რომლებიც საზოგადოებას აქვს დაფუძნებიდან ან საზოგადოების მართვიდან გამომდინარე ან და პარტნიორის მიმართ. პალატა მიიჩნევს, რომ პარტნიორის გარიცხვა საზოგადოებიდან ერთ-ერთ ასეთ უფლებათაგანია. თუმცა უნდა აღინიშნოს ისიც, რომ პარტნიორის გარიცხვა ნებისმიერ დროს და ნებისმიერი საფუძველით დაუშვებელია. იგი შესაძლებელია იმ შემთხვევაში, როდესაც ამ პარტნიორთან ერთად შეუძლებელია საზოგადოების შემდგომი საქმიანობის გაგრძელება. პარტნიორმა არ შეასრულა დაკისრებული ვალდებულება, რაც ბუნებრივია

წარმოშობდა პარტნიორთა შორის უნდობლობას და შეუძლებელს გახდიდა მათი საქმიანობის შემდგომ გაგრძელებას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე პალატა მიიჩნევს, რომ შპს „ვორლდ ინტერნე-იშენალი“ სწორადაა გარიცხული საზოგადოებიდან და ამ ნაწილში შპს „ჯორჯიან ეარვეისის“ მოთხოვნა გამომდინარეობს კანონის მოთხოვნებიდან.

რაც შეეხება გარიცხული პარტნიორისათვის მისაცემი კომპენსაციის საკითხს, პალატა თვლის, რომ რადგან აღნიშნული საკითხი სასარჩელო წესით დაყენებული არ ყოფილა, იგი შეიძლება გადაწყდეს ამ საკითხზე მხარეთა შორის შეუთანხმებლობისას და, შესაბამისად, დავის არსებობის შემთხვევაში სასამართლოსათვის სარჩელით მიმართვის გზით.

სასამართლოს გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა შპს „ჯორჯიან ეარვეისის“ საკასაციო საჩივარი: ბათილად იქნა ცნობილი შპს „ჯორჯიან ეარვეისისა“ და შპს „ვორლდ ინტერნეიშენალს“ შორის დადებული ხელშეკრულება, მოპასუხეს დაეკისრა მოსარჩელის მიერ მოთხოვნილი თანხის გადახდა და გაირიცხა პარტნიორობიდან.

სასამართლოს გადაწყვეტილებიდან ირკვევა რომ უფლებამოსილების ბოტროტად გამოყენება პარტნიორის გარიცხვის საფუძველია, რაც გამოვლინდა საკუთარი ინტერესების სასარგებლოდ მოქმედებაში. სასამართლომ დაადასტურა პარტნიორის უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება, რის საფუძველზეც მოსარჩელეებს „მეწარმეთა შესახებ“ კანონის მე-9 მუხლის მე-6 პუნქტის მიხედვით შეეძლოთ მოეთხოვათ პარტნიორის სოლიდარული პასუხისმგებლობა ზიანის ანაზღაურების ნაწილში და ასევე დაეყენებინათ მისი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი.

ამდენად, პარტნიორებმა საკუთარი ინტერესები უნდა გაითვალისწინონ საწარმოს ინტერესების ფარგლებში, რათა არ მოხდეს ინტერესთა კონფლიქტი, რაც პარტნიო-რობიდან გარიცხვის საფუძველია.

განვიხილოთ კიდევ ერთი შემთხვევა სასამართლო პრაქტიკიდან: შპს „ა.ე-ამ“ (სამართალმემკვიდრეა სს ენერჯია 21) სარჩელით მიმართა სასამართლო⁴⁹ და მოითხოვა შპს „ა. ე-ასა“ და შპს „უ. ც-ს“ შორის 2002 წლის 30 ივნისს დადებული საინვესტიციო ხელშეკრულების შეწყვეტა. ასევე მოითხოვა შპს „უ.ც-სა“ და სს „ს.ბ-ს“ სოლიდარულად დაეკისროს მის სასარგებლოდ 770 000 აშშ დოლარი და ერთი წლის პროცენტის – 77 000 აშშ დოლარის გადახდა.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 19 მარტის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა. აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო საჩივრით გაასაჩივრა სს „ს. ბ-მა“. გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა სს „ს.ბ-ის“ სააპელაციო საჩივარი. ახალი გადაწყვეტილებით შპს „ა.ე-ის“ (მისი უფლებამონაცვლე სს „ე-21“) სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

პალატამ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: შპს „უ. ც-ის“ დამფუძნებელია სს „ს. ბ-ის“ 100%-იანი წილით.

პალატამ მიიჩნია, რომ საინვესტიციო ხელშეკრულება დაიდო 2002 წლის 30 ივნისს. ამ ხელშეკრულების 2.1 პუნქტის მიხედვით, მოვალეს თანხის გადახდა უნდა დაეწყო ორი წლის შემდეგ, სარჩელი სასამართლოში შეტანილია ამ პირობის დადგომიდან ერთ კვირაში. შესაბამისად, არ ყოფილა დაცული სამოქალაქო კოდექსის 399-ე მუხლის მე-2 ნაწილით და 405-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დამატებითი ვადა ან გაფრთხილება.

პალატამ განმარტა, რომ საქმის მასალებით არ დადასტურდა შპს „უ. ც-ის“ გადახდის უუნარობა. ლიკვიდაციაში იმყოფება არა „უ. ც-ი“, რომელიც სადავო ხელშეკრულების მხარეა, არამედ სს „ს.ბ-ი“, რომლის გადახდის უუნარობა არ შეიძლება შეერაცხოს შპს „უ. ც-ს“. პალატამ მიიჩნია, რომ მართალია საზღვაო ბანკი არის 100%-იანი წილის მფლობელი სავაჭრო ცენტრში, მაგრამ სავაჭრო ცენტრი არის კერძო სამართლის

⁴⁹ იქვე: <http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/kr201110.pdf>, 18.06.2014, გვ:20-23

იურიდიული პირი, რომელიც სამართლებრივ ურთიერთობებში თავისი სახელით გამოდის და მისი პასუხისმგებლობა კრედიტორების წინაშე შემოიფარგლება მთელი მისი ქონებით, შესაბამისად საზღვაო ბანკი არ შეიძლება ყოფილიყო შპს „უ. ც-ის“ ვალდებულებებზე პასუხისმგებელი, მათ შორის, ცხადია, არც სოლიდარულად საინვესტიციო ხელშეკრულების მხარე არ არის საზღვაო ბანკი.

გადაწყვეტილება საკასაციო საჩივრით გაასაჩივრა სს „ე-21“. კასატორის აზრით, სასამართლოს არ უნდა გამოეყენებინა „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 4.4.-ე მუხლის დებულებები და პასუხისმგებლობის ტვირთი არ უნდა შემოეფარგლა მხოლოდ შპს-ს მთელი ქონებით. ასევე კასატორის განმარტებით, სასამართლომ თავი აარიდა შპს დამფუძნებელი – ს/ს „ს. ბ-ის“ მიერ პასუხისმგებლობის შეზღუდვის სამართლებრივი ფორმების ბოროტად გამოყენების ფაქტზე მსჯელობას. სასამართლომ არ გამოიკვლია და არც გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მოტივაცია, იმასთან დაკავშირებით, რომ შპს „უ. ც-სათვის“ ვალდებულების შესრულებისათვის რაიმე ვადის დაწესებას არავითარი შედეგი არ მოყვება, ვინაიდან იგი სრულიადაც არ ფუნქციონირებს და წარმოადგენს ფაქტობრივ ფიქციას.

საკასაციო პალატამ განიხილა საქმის მასალები და საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ.

სასამართლოს განმარტებით, აღნიშნული დავის წარმოშობისას მოქმედი „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 44-ე მუხლის თანახმად, საზოგადოების პარტნიორი არ არის პასუხისმგებელი საზოგადოების ვალდებულებებზე გარდა 3.4 მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. მე-3.4 მუხლის თანახმად, შესატანის სრულად შეტანა არ ათავისუფლებს პასუხისმგებლობისაგან იმ პირს, რომელმაც პასუხისმგებლობის შეზღუდვის ფორმები ბოროტად გამოიყენა. მოცემულ შემთხვევაში მხარე პასუხისმგებლობის შეზღუდვის ბოროტად გამოყენებად მიიჩნევს იმ გარემოებას, რომ საზოგადოების საბუღალტრო წიგნები ვერ იქნა მოძიებული და საერთოდ უცნობია ხდებოდა თუ არა საბუღალტრო წარმოება საზოგადოებაში. პალატა განმარტავს, რომ „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 44-ე მუხლის თანახმად, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების პასუხისმგებლობა შემოისაზღვრება კრედიტორების წინაშე

საზოგადოების მთელი ქონებით და იგი არ შეიძლება გავრცელდეს პარტნიორის საკუთრებაში არსებული მთელ ქონებაზე, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ პარტნიორმა საზოგადოებაში შეიტანა ქონება, მაგრამ იგი არ აღირიცხა საზოგადოების ქონებად და დარჩა პარტნიორის საკუთრებაში, (თუნდაც საჯარო რეესტრის ჩანაწერის მიხედვით) ეს ჩაითვლება სადავო ნორმაში მითითებული შეზღუდვის ბოროტად გამოყენებად და ასეთ შემთხვევაში ვალდებულების შესრულება შეიძლება მოხდეს საზოგადოებაში შეტანილი, მაგრამ საზოგადოების საკუთრებად არ აღრიცხული ქონებიდანაც. როგორც საქმის მასალებიდან ირკვევა, ინვესტირებისათვის განკუთვნილი თანხა გადაეცა საზოგადოებას და არანაირად პარტნიორის საკუთრებაში არ გადასულა. ამდენად არ შეიძლება იმაზე საუბარი, რომ მოცემულ შემთხვევაში მოხდა საზოგადოებაში პასუხისმგებლობის შეზღუდვის ბოროტად გამოყენება. რაც შეეხება შპს „უ. ც-ის“ მიმართ მოთხოვნას, პალატა მიიჩნევს, რომ გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია. სამოქალაქო კოდექსის 399-ე მუხლის 1-ელი ნაწილის თანახმად, ხელშეკრულების ნებისმიერ მხარეს შეუძლია, პატივსადები საფუძვლიდან გამომდინარე, უარი თქვას გრძელვადიან ვალდებულებით ურთიერთობაზე ხელშეკრულების მოშლისათვის დაწესებული ვადის დაუცველად. ასეთი მიზეზი შეიძლება იყოს სამოქალაქო კოდექსის 627-ე მუხლით გათვალისწინებული მსესხებლის ქონებრივი მდგომარეობის არსებითი გაუარესება, რითაც საფრთხე ექმნება ვალდებულების შესრულებას. აღნიშნული არ გულისხმობს მხოლოდდა მხოლოდ გადახდისუუნაროდ მხარის გადაქცევას, რაც მითითებული აქვს სააპელაციო სასამართლოს. პალატა მიიჩნევს, რომ სასამართლომ უნდა შეაფასოს შპს „უ. ც-ის“ ქონებრივი მდგომარეობა და საქმეში არსებული მტკიცებულებების საფუძველზე იმსჯელოს იმის თაობაზე შესაძლებელია თუ არა მხარეთა შორის ხელშეკრულების მოშლა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პალატა მიიჩნევს, რომ შპს „ე-21“-ის მოთხოვნა, მეწარმეთ კანონის 34-ე და მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, სს „ს. ბ-ის“ მიმართ უსაფუძვლოა, ხოლო შპს „უ. ც-ის“ მიმართ ხელახლა უნდა იქნეს განხილული.

აღნიშნული საქმის ანალიზიდან დგინდება, რომ მოცემულ შემთხვევაში მხარე ბოროტად გამოყენებას აიგივებს ხელშეკრულებიდან წარმოშობილი მოვალეობის შეუსრულებლობასთან და პასუხისმგებლობას აკისრებს შპს-ს პარტნიორს.

სასამართლომ სწორად არ დააკისრა პასუხისმგებლობა სს „ს.ბ-ს“, რადგან მოსარჩელემ სინვიესტიციო ხელშეკრულება დადო არა საზოგადოების პარტნიორთან, არამედ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებასთან.

როგორც მოცემული საქმიდან ირკვევა სწორედ ინვესტორს ევალება გაითვალისწინოს შეზღუდული პასუხისმგებლობის ფორმის ნაკლოვანებები და მხოლოდ საზოგადოების პარტნიორების რეპუტაციის გათვალისწინებით არ გააფორმოს ხელშეკრულებები, ვინაიდან უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების შეფასება სასამართლოს პრეროგატივაა და საკმაოდ რთულია მისი დამადასტურებელი გარემოების დადასტურება ამდენად, პარტნიორმა უნდა გაითვალისწინოს შპს-ს ამოსავალი პრინციპი – „საზოგადოების ვალდებულებისათვის, პარტნიორი პასუხს არ აგებს“.

2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის გადაწყვეტილებები - სამეწარმეო დანაშაულებების მიხედვით.

სამეწარმეო სამართლი ითვალისწინებს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძვლებს, მაგრამ დანაშაულები, რომლისთვისაც დგება პასუხისმგებლობა, გათვალისწინებულია სისხლის სამართლის კოდექსით.

პარტნიორის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძვლების უკეთ გააზრებისათვის, ვფიქრობ მნიშვნელოვანია განვიხილოთ სისხლის სამართლის საქმეები, რომლებითაც დადგა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ა. ა-შვილის საკასაციო საჩივარი⁵⁰ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 11 ივლისის განაჩენზე.

საქალაქო სასამართლოს განაჩენით ა.ა-შვილი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს 2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქციის სსკ-ის 362-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილებით, 220-ე მუხლით, 182-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, მე-2 ნაწილის „ბ“, „გ“, „დ“ ქვეპუნქტებითა და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით იმაში, რომ ჩაიდინა სამეწარმეო ორგანიზაციაში ხელმძღვანელობითი უფლებამოსილების გამოყენება ამ ორგანიზაციის კანონიერი ინტერესების საწინააღმდეგოდ, თავისთვის გამორჩენის მიღების მიზნით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია; ასევე - თავის მართლზომიერ მფლობელობასა და გამგებლობაში არსებული დიდი ოდენობით სხვისი მოძრავი ნივთის სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით მართლსაწინააღმდეგო მითვისება არაერთგზის, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია; ასევე - ყალბი ოფიციალური დოკუმენტის არაერთგზის დამზადება და გამოყენება, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია. განაჩენით დადგენილად იქნა მიჩნეული შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

⁵⁰ საქართველოს უზენაესი სასამართლო, გადაწყვეტილებები სისხლის სამართლის საქმეებზე, .
<http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/sisxli-2009-01-uni.pdf>, 18.06.2014წ, გვ: 6-12

ა.ა-შვილი იყო შპს „ფასადშენის“ დირექტორი, რომელიც წარმოადგენდა სახელმწიფოს 100%-იანი წილის საწარმოს, რომლის ძირითადი საქმიანობა იყო მრავალსართულიანი შენობების რემონტი. ა.ა-შვილმა ერთ-ერთ კომპანიასთან გააფორმა ხელშეკრულება, რომლისთვისაც ბიუჯეტიდან ჩაერიცხა გარკვეული ოდენობის თანხა. ა.ა-შვილმა განიზრახა, თავისი ხელმძღვანელობითი უფლება-მოსილება გამოეყენებინა საწარმოს ინტერესების საწინააღმდეგოდ.

აღნიშნული განზრახვის განსახორციელებლად ა.ა-შვილმა ჩამოაყალიბა შპს „ქუთფა-სადმშენი», რომელსაც ჰქონდა სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული საწარმოს თითქმის ანალოგიური სახელწოდება და საქმიანობის სფერო ის ასევე იყენებდა აღნიშნული საწარმოს ტექნიკას, სამუშაოების შესასრულებლად. შესაბამისად, სახელმწიფოს მიერ დაკვეთილი სამუშაოების შესასრულებლად არ არსებობდა ცალკე საწარმოს შექმნის აუცილებლობა. სასამართლომ ის დამნაშავედ ცნო თანხების მითვისებასა და ყალბი ხელშეკრულებების შედგენაში.

განაჩენი გასაჩივრდა სააპელაციო და საკასაციო წესით და საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა დასკვნამდე, რომ შპს „ფასადშენის 21-ის“ ტექნიკასა და მექანიზმებს ა. ა-შვილი უსასყიდლოდ იყენებდა თავის მიერვე დაფუძნებული კერძო საწარმოს ინტერესებისათვის. აღნიშნული გარემოებები ნათლად მეტყველებს სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული საწარმოსათვის მნიშვნელოვანი ზიანის მიყენებაზე.

საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით ის დამნაშავედ იქნა ცნობილი სსკ-ის 182 მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, 220-ე მუხლით და სსკ-ს 59-ე მუხლის პირველი ნაწილით, ასევე მას ბიუჯეტის სასარგებლოდ დაეკისრა 117 131 ლარის გადახდა.

აღნიშნული მაგალითიდან ცალსახად იკვეთება პასუხისმგებლობის საუძვლები, რაც მდგომარეობს სახელმწიფო ინტერესების წინააღმდეგ მიზანმიმართულ ქმედებაში. ა.ა-შვილის განზრახვა, რომ დანაშაულისთვის პასუხი ეგო სპეციალურად შექმნილი შპს-ს ფარგლებში, აღნიშნულ შემთხვევაში არ გამართლდა, რაც ადასტუ-

რებს, რომ შეზღუდული პასუხისმგებლობა არ არის სასჯელის თავიდან აცილების საფუძველი.

ნაშრომში განხილულია დირექტორის პასუხისმგებლობის საფუძვლები, რომელიც ვფიქრობ, ნათლად სჩანს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის მიერ განხილულ შემდეგ საქმეში⁵¹:

ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 29 ოქტომბრის განაჩენით: ნ. გ-ია ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 220-ე მუხლით, 182-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“, „დ“ და მესამე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით, 218-ე მუხლის მეორე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, 210-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებით. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად და მ. ფ-ია, ასევე 362-ე მუხლის პირველი ნაწილით.

საბოლოოდ ნ. გ-იას სასჯელის ზომად განესაზღვრა 19 წლით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა 10000 ლარის ოდენობით სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ. მასვე დამატებითი სასჯელის სახით შეეფარდა ჯარიმა 5000 ლარის ოდენობით სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ. ნ. გ-იას 3 წლის ვადით აეკრძალა სამეწარმეო საქმიანობა. მას სასჯელის მოხდა დაეწყო 2007 წლის 4 აპრილიდან.

მ. ფ-იას სასჯელის ზომად განესაზღვრა 15 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა 10000 ლარის ოდენობით სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ. მასვე დამატებითი სასჯელის სახით შეეფარდა ჯარიმა 5000 ლარის ოდენობით სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ. მ. ფ-იას 3 წლის ვადით აეკრძალა სამეწარმეო საქმიანობა.

საბოლოოდ განაჩენით მსჯავრდებულების: ნ. გ-იასა და მ. ფ-იას მიერ ჩადენილი დანაშაული გამოიხატა შემდეგში: 1996 წლის 7 ივლისს ზუგდიდის რაიონის მანქანა-ტრაქტორთა პარკის რემონტისა და ექსპლუატაციის საწარმოს ბაზაზე დაფუძნდა სააქციო საზოგადოება „ზუგდიდსოფლტექნიკი“. სააქციო საზოგადოების დამფუძნებელს წარმოადგენდა სახელმწიფო 100%-იანი წილით. 1999 წელს წესდებაში

⁵¹ იხ. <http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/sisxli-2009-01-uni.pdf>, გვ: 18.06.2014წ, 12-20

შევიდა ცვლილებები და სააქციო საზოგადოების საქმიანობას დაემატა: ხე-ტყის დამზადება, ხის დამუშავება, ავეჯისა და ხის სხვა ნაკეთობათა წარმოება-რეალიზაცია. შემდგომში სააქციო საზოგადოებაში რეორგანიზაციისას განხორციელებული ცვლილებების შედეგად, სს „ზუგდიდსოფლტექნიკის« აქციათა სრული პაკეტის მფლობელი პროცენტული კუთვნილებით გახდნენ: ნ. გ-ია - აქციათა - 45%; მ. ფ-ია - 13%; ზ. ა-აია - - 30%; 4. ვ. ხ-ავა - 2, 731%; სხვადასხვა აქციონერები - 5, 992%; წარმოების თანამშრომლები - 1, 567%. 1997 წლის 10 მარტს, 1999 წლის 23 ივნისსა და 2004 წლის 15 ოქტომბერს საზოგადოებაში განხორციელებული ცვლილებების შედეგად სამეთვალყურეო საბჭო ჩამოყალიბდა შემდეგი შემადგენლობით: 1. ე. გ-ია, 2. ვ. ხ-ავა; 3. ზ. ა-აია; 4. ო. გ-ავა; 5. ვ. ტ-უა; 6. რ. ჩ-ავა. სს „ზუგდიდსოფლტექნიკის« დირექტორატი განისაზღვრა შემდეგი შემადგენლობით: გენერალური დირექტორი - მ. ფ-ია, ფინანსური დირექტორი - თ. ხ-ია, დირექტორი კომერციულ საქმიანობაში - ნ. გ-ია, დირექტორი ეკონომიკის დარგში - ჯ. გ-ია. 2006 წლის 20 ივნისს მ. ფ-ია გათავისუფლდა გენერალური დირექტორის თანამდებობიდან და მოვალეობის შესრულება დაევალა ნ. გ-იას. საზოგადოების წესდების შესაბამისად, დირექტორების უფლებამოსილება უნდა განსაზღვრულიყო სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დადგენილი შინაგანაწესით. 1997 წელს სააქციო საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს სხდომის #6 ოქმის თანახმად, განისაზღვრა კომერციული დირექტორის უფლებამოსილება, კერძოდ: საზღვარგარეთის ქვეყნებთან სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობებზე კონტრაქტების დადება, ურთიერთხელსაყრელ პირობებში საქონლის ყიდვა-გაყიდვა, საზღვარგარეთის ქვეყნების საბანკო დაწესებულებებში სავალუტო ანგარიშების გახსნისა და, შესაბამისად, ფინანსების განკარგვის უფლებამოსილება. დირექტორების სხვა უფლებამოსილება „მეწარმეთა შესახებ« საქართველოს კანონის 56.2 მუხლის თანახმად, განისაზღვრა ხელმძღვანელობის ზოგადი უფლებამოსილებით. კერძოდ, ამავე კანონის 56.4 მუხლის შესაბამისად, დირექტორებმა კეთილსინდისიერად და გულმოდგინედ უნდა შეასრულონ დაკისრებული ამოცანები. თუ დირექტორი არ შეასრულებს თავის მოვალეობას, ვალდებულია, საზოგადოებას აუნაზღაუროს მიყენებული ზარალი, დირექტორები კი პასუხს აგებენ სოლიდარულად. სს „ზუგდიდსოფლტექნიკის«

დირექტორი კომერციულ საქმიანობაში ნ. გ-ია, გენერალური დირექტორი მ. ფ-ია და ფინანსური დირექტორი თ.ხ-ია 2004 წლის იანვარში შეთანხმდნენ, რომ ურთიერთშორის ხელმძღვანელობითი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებით, შემოსავალში არ აესახათ სამეწარმეო საქმიანობის შედეგად მიღებული, სააქციო საზოგადოების კუთვნილი თანხები, განზრახ თავი აერიდებინათ განსაკუთრებით დიდი ოდენობით გადასახადისათვის და ამ გზით მიეთვისებინათ აღნიშნული თანხები, რაც მათ განახორციელეს კიდევ, შემოსავლებში არ ასახეს 1011446 ლარიდან დიდი ოდენობით სააქციო საზოგადოების აქციონერების კუთვნილი 4248073 ლარი, ამასთან აღნიშნული ქმედებით თავი აარიდეს განსაკუთრებით დიდი ოდენობით 471853 ლარის გადასახადის გადახდას, რითაც მათ მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენეს სს „ზუგდიდსოფლტექნიკას« და სახელმწიფოს ინტერესებს.

ასევე დანაშაულის ჩადენაში მხილებისაგან თავის დაღწევის მიზნით, მათ განიზრახეს, ყალბი სალაროს შემოსავლის ორდერების, სასაქონლო ზედნადებებისა და შესყიდვის აქტების შედგენით ეჩვენებინათ სააქციო საზოგადოებაში ნაშთის შესაბამისი, დახერხილი ხის მასალის პროდუქციის რეალიზაციისათვის საჭირო სათადარიგო ნაწილების შექმნა, რითაც დაფარავდნენ მზა პროდუქციის დანაკლისს და სააქციო საზოგადოების ბუღალტერიაში ასახავდნენ პროდუქციის ნაშთის შესაბამის ფაქტობრივ უსაქონლო ოპერაციას.

აღნიშნულ განაჩენში ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 22 ივლისის განაჩენით შევიდა ცვლილება, კერძოდ: საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა წარმოდგენილი საჩივრების საფუძვლიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საკასაციო საჩივრები არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებულ განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება და შემცირდეს სასჯელის ზომები.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება გასაჩივრდა საკასაციო წესით, რომელიც არ დაკმაყოფილდა შემდეგი გარემოების გამო: საქმეზე სასამართლო გამოკვლევა ჩატარებულია სრულყოფილად, ობიექტურად და საპროცესო კანონმდებლობის დაცვით.

საქმეში არ მოიპოვება სისხლის სამართლის საპროცესო კანონის ისეთი არსებითი ხასიათის დარღვევა, რაც საფუძვლად დაედება განაჩენის გაუქმებას.

განაჩენის დადგენის დროს, სასამართლომ გაითვალისწინა მსჯავრდებულების - ნ. გ-იასა და მ. ფ-იას მიერ ჩადენილი დანაშაულის ხასიათი, ქმედებაში გამოვლენილი მართლსაწინააღმდეგო ნება, მათი პიროვნება და დაუნიშნა სამართლიანი სასჯელები. სასამართლომ ცლილებები შეიტანა სასჯელის ზომის ნაწილში, ამინიისტიის შესახებ კანონის მიხედვით განაჩენი სხვა ნაწილში დარჩა უცვლელად.

როგორც პრაქტიკამ აჩვენა, პარტნიორის პასუხისმგებლობის შეზღუდვის ბოროტად გამოყენება იწვევს, როგორც სამოქალაქო, ისე სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას, ხოლო მისი სამეწარმეო ხასიათის შეზღუდვა გამოხატულია, სამეწარმეო საქმიანობის განხორციელების აკრძალვაში, რითაც საფრთხე ექმნება არა მარტო პარტნიორის, არამედ საზოგადოების ინტერესებს.

დასკვნა

ნაშრომიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ პარტნიორის პასუხისმგებლობის შეზღუდვა ძირითადად მხოლოდ ფორმალური ხასიათისაა თუ ის სწორად არ იქნა გაგებული და გააზრებული.

მიუხედავად შეზღუდული პასუხისმგებლობისა, პარტნიორს ეს ფორმა ვერ იცავს ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში.

აღნიშნულის გათვალისწინებით, პასუხისმგებლობის შეზღუდვიდან მომდინარეობენ შემდეგი ძირითადი პრობლემები: პარტნიორი შეზღუდულ პასუხისმგებლობის ფორმას იყენებს ბოროტად; პარტნიორს, როგორც ხელმძღვანელს, ეხსნება შეზღუდული პასუხისმგებლობი ფორმით გათვალისწინებული პრივილეგიები; ის, მიუხედავად პასუხისმგებლობის ფორმისა, პასუხს აგებს სოლიდარულად მეწარმეთა შესახებ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში და ასევე შეიძლება დადგეს მისი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა.

შეზღუდული პასუხისმგებლობის ფორმის ბოროტად გამოყენების შემთხვევაში, პრობლემის გადაჭრის გზა საკმაოდ ნათელია. ამ დროს სახეზეა პირის შეგნებული, მოტივირებული სურვილი, არაკანონიერი საშუალებებით მიიღოს პირადი სარგებელი და შესაბამისად, თავად უნდა გააკეთოს არჩევანი მოსალოდნელ პასუხისმგებლობასა და მისაღებ სარგებელს შორის.

ხელმძღვანელობიდან წარმოშობული ვალდებულებებისათვის კანონმდებლობა ცალსახად სოლიდარული ფორმით პასუხისმგებლობას ითვალისწინებს ამიტომ, პარტნიორი, რომელიც თანხმდება ხელმძღვანელობაზე, სრულად უნდა აცნობიერებდეს მოსალოდნელი პასუხისმგებლობის შედეგებს. პრობლემის გადაჭრის გზა, ჩემის აზრით, მმართველობითი ფუნქციების დეცენტრალიზაციაში მდგომარეობს, პარტნიორებმა უნდა იზრუნონ ხელმძღვანელის პოზიციაზე დანიშნონ მაღალკვალიფიციური და შესაბამისი გამოცდილების მქონე კადრი, რომელსაც ექნება სამეწარმეო სუბიექტის საქმიანობის სფეროს შესაბამისი კვალიფიკაცია და ხარისხი. მართალია, ასეთი ხელმძღვანელის მოძიება საკმაოდ რთულია და შესაბამისად

მაღალანაზღაურებადიც, მაგრამ პარტნიორმა მაქსიმალურად უნდა დააზღვიოს თავისი პასუხისმგებლობის რისკი, ბიზნეს ინტერესები, რათა შეინარჩუნოს სტაბილური, წარმატებული ბიზნესი და კიდევ უფრო განავითაროს ის.

რაც შეეხება პარტნიორისათვის „მეწარმეთა შესახებ“ კანონმდებლობიდან წარმოშე-ბული სოლიდარული პასუხისმგებლობის საფუძვლებს, მისი სახეობები კანონმდე-ბლობით დეტალურად არ არის მოწესრიგებული და ის დამოკიდებულია პარტნიორის დარღვევის ხარისხზე, რომელსაც შეიძლება ახასიათებდეს პირდაპირი განზრახვა, მაგრამ პასუხისმგებლობა შემოიფარგლოს მხოლოდ სოლიდარული ფორმით და არ გადაიზარდოს სისხლისსამართლებრივ დევნაში, თუ მას არ გამოუწვევია განსაკუ-თრებით მძიმე შედეგები სახელმწიფოს, საზოგადოების ან დაზარალებულისათვის. ამიტომ, მნიშვნელოვანია პარტნიორებმა წესდებაში დეტალურად გაწერონ მათი ძირითადი უფლებები და ვალდებულებები, ის ბიზნეს ინტერესები, რომელთა დაცვაც სასიცოცხლოდ აუცილებელია სამეწარმეო სუბიექტისათვის, რათა პარტნი-ორმა იცოდეს, რისთვის და რა ფორმით მოუწევს პასუხისმგებლობა.

მიმაჩნია, რომ „მეწარმეთა შესახებ“ კანონში ძირითადად ასახულია პარტნიორების უფლებები, მაგრამ არ სჩანს მათი ვალდებულებები და ვალდებულების დარღვევი-სათვის პასუხისმგებლობის კონკრეტული ზომები. წესდების არასრულყოფილების შემთხვევაში, პასუხისმგებლობა დგება კანონის ზოგადი ნორმების საფუძველზე, რაც ართულებს პარტნიორებს, ხელმძღვანელებს, პარტნიორსა და ხელმძღვანელს შორის ზემოაღნიშნული პრობლემების შემთხვევაში დავის გადაჭრას.

ვინაიდან ჩვენი ქვეყნის განვითარებისათვის მნიშვნელოვანია მცირე და საშუალო ბიზნეს სექტორის განვითარება, რომელიც ძირითადად შეზღუდული პასუხისმგე-ბლობის ფორმაზე დაფუძნებული იურიდიული პირების შექმნით იქმნება, ვფიქრობ კანონმდებლებმა მეტად უნდა გამოკვეთონ პარტნიორების პასუხისმგებლობის შე-ზღუდვის ძირითადი პრობლემები და მათი გადაჭრის გზები, რათა მაქსიმალურად იქნას უზრუნველყოფილი ქვეყანაში სტაბილური ბიზნეს გარემოს ჩამოყალიბება, რაც ინვესტიციების მოზიდვის ძირითადი ფაქტორი და შესაბამისად, ქვეყნის განვითა-რების აუცილებელი პირობაა.

გამოყენებული ლიტერატურა:

წიგნები:

1. ავტორთა კოლექტივი. *კეთილსინდისიერი ხელმძღვანელოს ვალდებულება და პასუხისმგებლობა სააქციო საზოგადოებაში ქართული და გერმანული სამართლის მიხედვით, სიმპოზიუმის მასალები, II გერმანულ-ქართული სიმპოზიუმი 2003.* თბილისი: 2003წ
2. ბურდული ი. *ქონებრივი ურთიერთობები სააქციო საზოგადოებაში.* თბილისი: უნივერსიტეტის გამ-ბა, 2008 წ
3. კარუნა დ. *შედარებითი საკორპორაციო სამართალი: ევროკავშირის, აშშ-ს, დიდი ბრიტანეთის საკორპორაციო სისტემების შედარებით-სამართლებრივი მიმოხილვა, თვისუფალი ეკონომიკური ზონები და ოფშორული ზონები.* თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2013 წ.
4. ლეკვეიშვილი მზია, ნონა თოდუა, გოჩა მამულაშვილი. *სისხლის სამართლის კერძო ნაწილი.* წიგნი I. თბილისი: გამ-ბა „მერიდიანი“, 2011წ
5. პაპასქუა ი. *შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება პრაქტიკაში: საწარმოთა ყველაზე გავრცელებული ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა.* თბილისი: ბიზნეს-კურიერი, 2002წ
6. ქოქრაშვილი ქ. *სამეწარმეო სამართალი.* თბილისი: საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, 2007წ.
7. შენგელია ე. *სააქციო საზოგადოების ორგანიზაციისა და ფუნქციონირების სამართლებრივი საფუძვლები.* თბილისი: გამ-ბა „მერიდიანი“, 2002წ.
8. ჭანტურია ლ. *კორპორაციული მართვა და ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა საკორპორაციო სამართალში.* თბილისი: გან-ბა სამართალი, 2006წ.
9. ბურდული ი. რედ. *საკორპორაციო სამართლის კრებული.* წიგნი I. თბილისი: გამ-ბა მერიდიანი, 2011წ
10. გეგენავა დ. და სერგი ჯორბენაძე, რედ-ები. *ბესარიონ ზოიძე 60.* თბილისი: დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტი, 2013წ

11. თინათინ წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი. *თანამედროვე საკორპორაციო სამართლის თეორიული და პრაქტიკული საკითხები*. თბილისი: გამ-ბა მერიდიანი, 2009წ

12. საქართველოს მეცნიერებათ აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი. *სასამართლო პრაქტიკის კომენტარი სამოქალაქო და საკორპორაციო სამართალში*. თბილისი: გამ-ბა „მერიდიანი“, 2003წ

სტატიები:

1. ჯიბუტი ნინო, „კორპორაციის ცნება სამართლებრივი სისტემების მიხედვით“. სარჩევი № 1-2(3-4)(2012 წ): გვ:40-57

ნორმატიული მასალა:

1. საქართველოს კანონი. „*მეწარმეთა შესახებ*“. საქართველოს პარლამენტი- 28/10/1994, № 577.

2. საქართველოს კანონი. „*საგადასახადო კოდექსი*“. საქართველოს პარლამენტი- 17/09/2010, № 3591

3. საქართველოს კანონი. „*სამოქალაქო სამართლის კოდექსი*“. საქართველოს პარლამენტი-26/06/1997, №786,

4. საქართველოს კანონი. „*სისხლის სამართლის კოდექსი*“. საქართველოს პარლამენტი - 22/07/1999, №2287

ვებ რესურსები:

1. <http://www.supremecourt.ge>

2. <http://www.library.court.ge>